განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი
საჯარო სექტორში
დოქტორანტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

10 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი

02.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	405155638
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში Digital Governance and Artificial Intelligence in Public Sector
უმაღლესი განათლების საფეხური	III - დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	საჯარო მმართველობის დოქტორი Doctor of Public Administration
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება / Management and Administration, 0413 (0413.1.3 საჯარო მმართველობა/Public Administration)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	არაუმეტეს 60 ECTS-ის კრედიტი (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა მაჭარაშვილი, ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ფარსადანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო პატარაია, შპს ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, სტუდენტ-ექსპერტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნის პროექტი

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" ახალია, აკრედიტაციის მიღების შემთხვევაში იფუნქციონირებს ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე და ითვალისწინებს კურსდამთავრებულისთვის საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მინიჭებას. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში".

პროგრამა დამტკიცებულია ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ (ოქმი #04-10, 28.12.2021). პროგრამა შედგება სასწავლო კომპონენტისა (სავალდებულო და არჩევითი ნაწილი არაუმეტეს 60 კრედიტისა - 1 კრედიტი = 25 სთ) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისგან (სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი - დისერტაცია). პროგრამის ხანგრძლივობაა 3 (მაქსიმუმ 5) აკადემიური წელი, სწავლების ენა- ქართული.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამებისგან ბტუ-ს სადოქტორო პროგრამას გამოარჩევს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობების ასპექტები და, როგორც შედეგი, კურსდამთავრებულის კომპეტენცია განავითაროს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის დანერგვასა და

ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებული ცოდნა, განსაზღვროს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, იკვლიოს და განავითაროს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის დანერგვასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური სტრატეგიები და სხვა.

აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ პროგრამას საფუძვლად უდევს 2020 წელს შემუშავებული დოქტორანტურის პროგრამა „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტი“ და მისი გარე შეფასების შედეგები. პროგრამის შემუშავება და მოდიფიცირება მიმდინარეობდა ბტუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) მიერ (გადაწყვეტილება MES 1 21 0000726549, 20/07/2021) გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული რეკომენდაციის მიხედვით პროგრამაში ასახული ცვლილებები.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

უშუალოდ ვიზიტამდე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი 9 მაისს, დისტანციურ რეჟიმში შეიკრიბა და 2 საათის განმავლობაში მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასება ექსპერტების მიერ. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა და გამოიკვეთა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 10 მაისის ინტერვიუირების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ოთხი წევრის (ნანა მაჭარაშვილი, ნინო ფარსადანიშვილი, ნინო პატარაია, ნანა ფირცხელანი) შემადგენლობით ამა წლის 10 მაისს განახორციელა აკრედიტაციის ვიზიტი. ვიზიტი ადგილზე ვიზიტის პირობებში განხორციელდა. სამუშაო პროცესის ადმინისტრირება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით წარიმართა. ვიზიტის პირობებში კომისიამ შეისწავლა აკრედიტაციის პროცესში წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნამდვილობა და მოახდინა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშში არსებული ნაკლული ინფორმაციის შევსება და დეტალური ანალიზი. აკრედიტაციის ვიზიტის დროს, დაზუსტდა რიგი ინფორმაცია, დამატებით მოთხოვნილი იქნა განახლებული დოკუმენტაცია. უნივერსიტეტმა აღნიშნული ინფორმაცია იმავე დღეს წარმოადგინა.

კომისიამ მუშაობა 10 საათიდან დაიწყო. სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან გაგრძელდა 18.00 საათამდე. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, პროგრამის სტუდენტთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანთან. საბოლოოდ, კომისია ვიზიტის საფუძველზე მიღებული მიგნებების გასაცნობად შეხვდა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისა და "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" ადმინისტრაციისა და პროგრამის წამომადგენლებს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-

ტექნიკური ბაზის, კონკრეტულად კი ელექტრონული რესურსებისა და საბიბლიოთეკო კატალოგის დათვალიერება (ბიბლიოთეკა, სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა) და კომისიის მიერ შეფასების მიზნით საჭირო კითხვების დასმა და ინფორმაციის ამოღება.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  <u>შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო პროგრამა</u> ***<u>მეტწილად შესაბამისობაშია პირველ და მეორე სტანდარტთან</u>*** *<u>(1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა და 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) და</u>* ***<u>სრულად აკმაყოფილებს მესამე, მეოთხე და მეხუთე</u>*** *<u>სტანდარტებს (3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა, 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა და 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები).</u>*

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამის მიზნებში აქტიურად და პროპორციულად იკვეთებოდეს უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადი.
  - რეკომენდირებულია, რომ სწავლის შედეგების რუქაში ხდებოდეს დაზუსტება, იმის, თუ რა კომპონენტებით არის უზრუნველყოფილი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევადობა დაგეგმილი და მეტად გამოიკვეთოს შედეგების გაზომვის პოტენციალი.
  - რეკომენდირებულია, რომ მეცნიერებისა და კვლევების მენჯმენტის კურსი, ისევე როგორც აკადემიური წერა, სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობის გამოცდილების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული კურსის სახით ტრანსფორმირების პირობებში, სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სახით იქნას იდენტიფიცირებული. რეკომენდირებულია აკადემიური წერის კურსის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში გადატანა, ვინაიდან მაღალია ალბათობა, რომ მსგავსი შინაარსის კურსი სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური ფოკუსით, პროგრამაზე ჩაბარებული სტუდენტების დიდ ნაწილს არ ექნება გავლილი.
  - რეკომენდირებულია, სადისერტაციო პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს სადოქტორო სემინარის მიზანი და შესაბამისი სტატუსიც. იმ შემთხვევაში, თუკი უნივერსიტეტი პოზიციას არ შეიცვლის, რეკომენდირებულია რომ აღნიშნული კომპონენტი იდენტიფიცირებული იქნას როგორც კოლოქვიუმი.

- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მეტწილად ეფუძნება საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხების უახლოესი კვლევის შედეგებსა და დარგის თანამედროვე მიღწევებს, უშუალოდ საჯარო მმართველობის ციფრული განზომილების სწავლებისა და კვლევის მიზნით სფეროს რელევანტური მასალებით კიდევ უფრო მეტად ინტეგრირების საჭიროება მაინც იკვეთება. ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია, შესაბამის ბიბლიოგრაფიაზე, საავტორო და თემატურ ინდექსებსა და თუნდაც, ამ უახლოეს გამოცემაში ფიქსირებულ ავტორებზე მეტი აქცენტირება (Digital Government Managing Public Sector Reform in the Digital Era (Routledge Masters in Public Management) (Lips, Miriam) 2020).
- რეკომენდირებულია, განხორციელდეს 2.3. ქვესტანდარტში ფიქსირებული შესაბამისი კურსების მინიმუმ ძირითადი ლიტერატურის დონეზე, უშუალოდ მისანიჭებელი ხარისხის შესაბამის - საჯარო მმართველობის სფეროსთან მეტი კავშირის მქონე თემტიკითა და უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფა.
- რეკომენდირებულია აკადემიური წერის კურსის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში გადატანა, ვინაიდან მაღალია ალბათობა, რომ მსგავსი შინაარსის კურსი სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური ფოკუსით, პროგრამაზე ჩაბარებული სტუდენტების დიდ ნაწილს არ ექნება გავლილი.
- რეკომენდირებულია, რომ სადისერტაციო დოკუმენტაციაში დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნების გაცილებით მეტად დეტალური განმარტება და კონკრეტული ინსტრუქციებისა და ილუსტრაციების/მაგალითების მოყვანა და იდენტიფიცირება ხდებოდეს ცალკე დოკუმენტის სახით, რომელშიც მოცემული იქნება სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია და ამასთან, მსგავსი დოკუმენტი ორიენტირი აღმოჩნდება სხვა სახის დოკუმენტებზე, მათ შორის გამოსაქვეყნებლად მოსამზადებელ სტატიებზე, მუშაობისთვისაც.
- სადოქტორო პროგრამაში ჩართული კვალიფიციური კადრების არსებობისა და აქტიური ინტეგრირების მიუხედავად, რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი დარგობრივი - საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა განსაკუთრებით უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის ფარგლებში არსებული პროფესორების დოქტორანტების თანახელმძღვანელებად მოწვევის მიმართულებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია, რომ მეტი ფორმალურობის დაცვით ხდებოდეს საერთაშორისო კავშირების დადასტურება - კერძოდ, დაზუსტდეს თანამშრომლობის ფორმატები - სადისერტაციო ნაშრომების საერთო ხელმძღვანელობა, სადისერტაციო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, რეცენზირება, სემესტრული ვიზიტები პროსპექტუსების ან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მიზნით და ა.შ. დღეს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ცალკეული მემორანდუმები შეიცავს მსგავს ინფორმაციას და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ელექტრონული კომუნიკაციით დადასტურებული თანხმობა პროგრამასთან

თანამშრომლობის მზაობის თაობაზე, ის, თუ რა სახითა და ფორმით განხორციელდება ეს თანამშრომლობა, რეკომენდირებულია, რომ იყოს წინასწარ გაწერილი და დაზუსტებული.

- სასურველია სადოქტორო პროგრამაში იდენტიფიცირებული პროგრამის მიზნების ფორმულირება ხდებოდეს იმ სახით, როგორც ეს პროგრამის რუქაშია მოცემული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიზნების აღწერილობის სწავლის შედეგებთან გაიგივება.
- სასურველია სწავლის შედეგების აღწერილობის შინაარსობრივი მხარე აქტიურად გამოიკვეთოს და უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადის შესაბამის ფორმულირებებში აქტიურად გამოჩნდეს ის პოტენციალი, რაც პროგრამას გააჩნია საჯარო მმართველობის ციფრული პარამეტრის ყველა მიმართულებით დაფარვის დონეზე, იქნება ეს სექტორული (ციფრული ეკონომიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება და მეცნიერება, იუსტიციის სისტემა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა), კონცეპტუალური (G2C, G2B, G2G, G2E) თუ ციფრული მმართველობის განხორციელების დონეებიდან გამომდინარე.
- სასურველია, რომ პროგრამის შედეგების რუქაში, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თითოული კომპონენტის რუკაში სამიზნე ნიშნულების განსაზღვისას მითითებება ხდებოდეს ინტერვალური გრადაციებით.
- სასურველია, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსში დაზუსტდეს იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომლის დაფარვაც იგეგმება, განსაკუთრებით თვისებრივი კვლევის მეთოდების ნაწილში.
- აკადემიური წერის კურსის წარმოდგენილი სილაბუსი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სამეცნიერო წერის სახით იყოს შემოთავაზებული, განსაკურებით იმ პირობებში, როცა მისი შინაარსი საკმაოდ აქტიურად ემთხვევა ამ სახელწოდებას. სასურველია ასევე, რომ მასში შემოტანილი იყოს პუბლიკაციებზე მუშაობის (შერჩევა, სამუშაო პროცესი... და რეცენტენტების მიერ მირებულ შენიშვნებზე მუშაობა და ა.შ.,) და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის სპეიციფიკაც, რათა უშუალოდ სამეცნიერო კომპონენტის დაწყებამდე სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი წარმოდგენა მათ წინაშე არსებული მოთხოვნების შესახებ.
- სასურველია, რომ დოქტორანტურის დებულებაშუ აქცენტი კეთდებულდეს დისერტაციის პრაქტიკულ რეპლიკაციის შესაძლებლობაზე და არა ორი ტიპის დისერტაციაზე. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ ამ ტერმინების „გამოყენებითი ხასიათის დისერტაცია“ და „თეორიული მნიშვნელობის დისერტაცია“ გამოყენება დებულებაში არ ხდებოდეს.
- სასურველია, რომ პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - კერძოდ კი, 4. სამეცნიერო პუბლიკაციების ქვეპუნქტის განმარტებისას, დაზუსტდეს, რომ დოქტორანტს ეთვლება თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.
- სასურველია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით არსებული მზაობა დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტებით.
- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაცილებით აქტიური მუშაობა აწარმოოოს უცხოელ პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობის ფორმალიზაციისა და თანახელმძღვანელობის სისტემის გასამართად.

- სასურველია, რომ უნივერსიტეტი სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემების კალკულამციისას მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალებითა და კონფერენციებით ხელმძღვანელობდეს და არ ითვლიდეს არასამეცნიერო ტიპის გამოქვეყნებებსა და მოხსენებებს.
- სასურველია, აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის მიხედვით დაგროვებული საბოლოო შედეგი ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობას.
- სასურველია პერიოდულობით უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი დოკუმენტის ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტის სახით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის კონცეპტუალური შემუშავებიდან დღემდე არსებული საერთაშორისო კავშირები და გამოცდილება, განსაკუთრებით კი ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) წარმომადგენელთა მხრიდან პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილი.
  - ბტუ უზრუნველყოფდა პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას როგორც პროგრამის შემუშავების, ისე განხორციელების ეტაპზე. უფრო მეტიც, მნიშვნელოვან ხაზგასმას საჭირებს ის გარემოება, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის პროექტის საჯარო განხილვის მიზნით, პროგრამის დამტკიცებამდე, მისი აღწერილობა ატვირთა ბტუ-ს ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/siakhle-doqtoranturis-programa-tsiphruli-mmarthveloba-da-khelovnuri-inteleqti-sajaro-seqtorshi/) და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მისი გაცნობა, რეკომენდაციების შემუშავება, ბტუ-სთვის წარდგენა და ამ გზით პროგრამის განხილვაში მონაწილეობა.
  - მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს კვლევითი კომპონენტის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობაზეც. დოქტორანტების კვლევითი პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ბტუ-ს პროექტებში ჩართულობისა და ბტუ-ს პარტნიორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. ასე, მაგალითად, ბრაგანჩას პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა (პორტუგალია) გამოთქვა მზაობა 2 კვლევითი ცენტრი ჩართოს თანამშრომლობაში, უმასპინძლოს ბტუ-ს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს და შესთავაზოს თანახელმძღვანელობა წამყვანი პორტუგალიელი პროფესორების კოორდინირებით. პორტოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია), რომელიც ევროკავშირის დაფინანსებული ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებშია ბტუ-ს პარტნიორი, ესპანეთის ლა კორუნიას უნივერსიტეტი და ლიეტუვის კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მზაობას გამოთქვამს პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში განავითაროს თანამშრომლობა სადოქტორო პროგრამის მიმართულებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) მიერ (გადაწყვეტილება MES 1 21 0000726549, 20/07/2021) 2020 წელს შემუშავებული დოქტორანტურის პროგრამის „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტი“ შეფასების პროცესში გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული რეკომენდაციის მიხედვით პროგრამაში ასახული ცვლილებები.

ექსპერტთა ჯგუფის პასუხი დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაზე: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია (ცენტრში რეგისტრაციის No838337), "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. გავეცანით, რა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხებს, დასკვნის პროექტში წარმოდგენილი რეკომენდაციებსა და რჩევებს უცვლელად ვტოვებთ. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტი ეთანხმება რეკომენდაციების მნიშვნელოვან ნაწილს.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში“ ხელს უწყობს ბტუ-ს და ფაკულტეტის მისიის ისეთი პუნქტების იმპლემენტაციას, როგორიცაა: • „შევთავაზოთ საზოგადოებას უნიკალური გამოცდილება ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში მისი მოლოდინების შესატყვისი თანამედროვე უმაღლესი განათლება, მაღალ ტექნოლოგიებთან ინტეგრირების გზით მივცეთ არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ საერთაშორისო ბაზა-რზეც კონკურენტუნარიანობის მოტივაცია და შესაძლებლობა, ვიყოთ ორიენტირებულნი

თანამედროვე ცოდნის შექმნაზე და გავრცენებაზე და საერთაშორისო სივრცეში ინტეგრირებაზე“ (ბტუ-ს მისია);

- „ფაკულტეტის ინოვაციური ხედვისა და მდგრადობის შენარჩუნება და ხარისხიანი განათლების უზ-რუნველყოფა, სფეროში მიმდინარე სიახლეებისა და მიღწევების გათვალისწინებით. ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტულ კურსდამთავრებულთა ნაკადის შექმნა და შემდგომი მხარდაჭერა“ (ფაკულტეტის მისია).

შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამა შეესაბამება ბტუ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია. თუმცა, თავისი აღწერილობით უფრო მეტად მიესადაგება სწავლის შედეგებს (ამ მხრივ გაცილებით მისაღებია სადოქტორო პროგრამის რუქაში წარმოდგენილი მიზნების ფორმულირებები და სასურველია სწორედ ასეთი ფორმით მათი იდენტიფიცირება პროგრამაშიც). ამ მხრივ სადოქტორო პროგრამა ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ, პროგრამას გააჩნია შემდეგი 4 მიზანი, რომელიც ასახავს კურსდამთავრებულის ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. პროგრამის მიზანია საჯარო მმართველობის სფეროში მკვლევარის მომზადება, რომელიც შეძლებს:

1. საჯარო მმართველობის, მათ შორის ციფრული მმართველობის მიმართულებით, ეთიკური სტანდარტების დაცვით ინტერდისციპლინური კვლევების განხორციელებას და საზოგადოებისთვის კვლევის შედეგების გაზიარებას პრაქტიკაში გამოყენების მიზნებისთვის;
2. პოლიტიკის დაგეგმვის ერთიანი სისტემისა და საკანონმდებლო ბაზის განვითარების ხელშეწყობას;
3. პოლიტიკის განხორციელებისას რესურსების გადანაწილებასთან დაკავშირებული მკაფიო და ეფექტიანი მიდგომების/სტრატეგიების შემუშავებას;
4. საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტის (AI) დანერგვის ყველა ეტაპისათვის სიტუაციის ანალიზის, დაგეგმვის, ანგარიშგების, მონიტორინგისა და შეფასებისათვის საჭირო მეთოდური რეკომენდაციების შემუშავებას.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ამ 4 მიზნიდან/შედეგიდან პირველი მიზნის/შედეგის მიღწევა, ყველა დანარჩნი, პრაქტიკოსი მკვლევრის მომზადებაზეა ორიენტირებული (შესაბამისად, ნათლად იკვეთება და ჩანს, თუ რა წვლილი შეაქვს მას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში), რასაც, თავად პროგრამის წარმომადგენლები საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის სფეროში არსებული დეფიციტური კადრებით ხსნიან. თუმცა, რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამის მიზნებში აქტიურად და პროპორციულად იკვეთებოდეს უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადი.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის აქტუალობის დასაბუთების დოკუმენტი ასახავს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, დარგის, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს ციფრული მმართველობის მიმართულებით. დოკუმენტში მიმოხილულია საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის სწავლების,

კვლევისა და პრაქტიკის გამოცდილება და ნაჩვენებია ის რესურსი, რომლის შევსების ამბიციაც პროგრამას გააჩნია. ამ მიზნით ხორციელდება ერთი მხრივ, რელევანტური მეორადი წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვა, შესაბამისი საჯარო უწყებების წარმომადგენლებთან სიღმისეული ინტერვიუები და სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულთა მზაობის შესწავლის მიზნით გამოკითხვა. ასევე, შესწავლილია პროგრამების ანალოგიები როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე. მასში ხაზგასმულია, რომ საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამებისგან ბტუ-ს სადოქტორო პროგრამას გამოარჩევს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობების ასპექტები და, როგორც შედეგი, კურსდამთავრებულის კომპეტენცია განავითაროს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის დანერგვასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებული ცოდნა, განსაზღვროს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, იკვლიოს და განავითაროს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის დანერგვასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე ორიენტირებული კვლევითი და ანალიტიკური სტრატეგიები და სხვა.

მაღალია პროგრამის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობები, რაც დასტურდება წარმოდგენილი მემორანდუმებითა და პროგრამის შემუშავებიდან დღემდე დამყარებული და ჩამოყალიბებული ქსელით ციფრული მმართველობის ანალოგიურ პროგრამებთან. პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის კონცეპტუალური შემუშავებიდან დღემდე არსებული საერთაშორისო კავშირები და გამოცდილება, განსაკუთრებით კი ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) წარმომადგენელთა მხრიდან პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილი. თუმცა, რეკომენდირებულია, რომ მეტი ფორმალურობის დაცვით ხდებოდეს საერთაშორისო კავშირების დადასტურება - კერძოდ, დაზუსტდეს თანამშრომლობის ფორმატები - სადისერტაციო ნაშრომების საერთო ხელმძღვანელობა, სადისერტაციო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, რეცენზირება, სემესტრული ვიზიტები პროსპექტუსების ან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მიზნით და ა.შ. დღეს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ცალკეული მემორანდუმები შეიცავს მსგავს ინფორმაციას და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ელექტრონული კომუნიკაციით დადასტურებული თანხმობა პროგრამასთან თანამშრომლობის მზაობის თაობაზე, ის, თუ რა სახითა და ფორმით განხორციელდება ეს თანამშრომლობა, რეკომენდირებულია, რომ იყოს წინასწარ გაწერილი და დაზუსტებული.

პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. ბტუ უზრუნველყოფდა პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას როგორც პროგრამის შემუშავების, ისე განხორციელების ეტაპზე. უფრო მეტიც, მნიშვნელოვან ხაზგასმას საჭირებს ის გარემოება, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის პროექტის საჯარო განხილვის მიზნით, პროგრამის დამტკიცებამდე, მისი აღწერილობა ატვირთა ბტუ-ს ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/siakhle-doqtoranturis-programa-tsiphruli-mmarthveloba-da-khelovnuri-inteleqti-sajaro-seqtorshi/) და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მისი გაცნობა, რეკომენდაციების შემუშავება, ბტუ-სთვის წარდგენა და ამ გზით პროგრამის განხილვაში მონაწილეობა. დამსაქმებლებთან ჩატარებული ინტერვიუს პროცესშიც აქტიურად დადასტურდა, რომ პროგრამა აქტიურად მხარდაჭერილია ციფრულ მმართველობის სფეროში დღეს საქართველოში მოქმედ როგორც საჯარო, ისე არასამთავრობო და კერძო

სექტორის რელევანტური აქტორიების მიერ და პროგრამის დოქტორანტი სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მათ საქმიანობაში ჩართვის მზაობაც საკმაოდ მაღალია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა (კურიკულუმი) - დანართი #01;
- პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია - დანართი #03;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (მათ შორის, კურიკულუმის შესაბამისობის რუკა) - დანარ-თი #04;
- შრომის და განათლები ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი - დანართი #07;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, პროგრამის შიდა და გარე შეფასება) - დანართი #13;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები - დანართები #08, #09;
- ბტუ-ს მისია და ფაკულტეტის მისია (ბტუ-ს განვითარების სტრატეგია); საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგ-მვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია https://btu.edu.ge/chven-shesakheb/maregulirebeli-dokument/.
- ინფორმაცია პროგრამის საჯარო განხილვის მიზნით (https://btu.edu.ge/siakhle-doqtoranturis-programa-tsiphruli-mmarthveloba-da-khelovnuri-inteleqti-sajaro-seqtorshi/).
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საინფორმაციო მასალები (https://btu.edu.ge/khariskhis-uzrunvelqhopha/)
- ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსდება რუბრიკაში: https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi.
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამის მიზნებში აქტიურად და პროპორციულად იკვეთებოდეს უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ მეტი ფორმალურობის დაცვით ხდებოდეს საერთაშორისო კავშირების დადასტურება - კერძოდ, დაზუსტდეს თანამშრომლობის ფორმატები - სადისერტაციო ნაშრომების საერთო ხელმძღვანელობა, სადისერტაციო კომისიების მუშაობაში მონაწილეობა, რეცენზირება, სემესტრული ვიზიტები პროსპექტუსების ან სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის მიზნით და ა.შ. დღეს სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მხოლოდ ცალკეული მემორანდუმები შეიცავს მსგავს ინფორმაციას და მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტმა წარმოადგინა ელექტრონული კომუნიკაციით დადასტურებული თანხმობა პროგრამასთან თანამშრომლობის მზაობის თაობაზე, ის, თუ რა სახითა და ფორმით

განხორციელდება ეს თანამშრომლობა, რეკომენდირებულია, რომ იყოს წინასწარ გაწერილი და დაზუსტებული. • სასურველია სადოქტორო პროგრამაში იდენტიფიცირებული პროგრამის მიზნების ფორმულირება ხდებოდეს იმ სახით, როგორც ეს პროგრამის რუქაშია მოცემული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიზნების აღწერილობის სწავლის შედეგებთან გაიგივება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პროგრამის საუკეთესო პრაქტიკად უნდა ჩაითვალოს პროგრამის კონცეპტუალური შემუშავებიდან დღემდე არსებული საერთაშორისო კავშირები და გამოცდილება, განსაკუთრებით კი ლეიდენის უნივერსიტეტის (ნიდერლანდების სამეფო) წარმომადგენელთა მხრიდან პროგრამის განვითარებაში შეტანილი წვლილი. ○ ბტუ უზრუნველყოფდა პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას როგორც პროგრამის შემუშავების, ისე განხორციელების ეტაპზე. უფრო მეტიც, მნიშვნელოვან ხაზგასმას საჭირებს ის გარემოება, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის პროექტის საჯარო განხილვის მიზნით, პროგრამის დამტკიცებამდე, მისი აღწერილობა ატვირთა ბტუ-ს ვებგვერდზე (https://btu.edu.ge/siakhle-doqtoranturis-programa-tsiphruli-mmarthveloba-da-khelovnuri-inteleqti-sajaro-seqtorshi/) და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეეძლო მისი გაცნობა, რეკომენდაციების შემუშავება, ბტუ-სთვის წარდგენა და ამ გზით პროგრამის განხილვაში მონაწილეობა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ პროგრამას საფუძვლად უდევს 2020 წელს შემუშავებული დოქტორანტურის პროგრამა „ციფრული მმართველობის და ხელოვნური ინტელექტი“ და მისი გარე შეფასების შედეგები. პროგრამის შემუშავება და მოდიფიცირება მიმდინარეობდა ბტუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - აკრედიტაციის საბჭო) მიერ (გადაწყვეტილება MES 1 21 0000726549, 20/07/2021) გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში დეტალურადაა წარმოდგენილი თითოეული რეკომენდაციის მიხედვით პროგრამაში ასახული ცვლილებები.
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას. მიუხედევად იმისა, რომ ცოდნას, უნარებს და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობის მიხედვით არ ხდება ამ შედეგების იდენტიფიცირება, შედეგებიდან იკვეთება, რომ ხდება სამივე დონის შედეგის უზრუნველყოფა. თუმცა, სასურველია, რომ სწავლის შედეგების რუქაში მაინც ხდებოდეს დაზუსტება, იმის, თუ რა კომპონენტებით არის უზრუნველყოფილი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევადობა დაგეგმილი. პროგრამას გააჩნია შემდეგი 8 შედეგი:

1. ავითარებს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის დანერგვასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან დაკავშირებულ, ინოვაციურ კვლევებსა და მიდგომებზე დამყარებულ ცოდნას;
2. საჯარო მმართველობის სფეროში ელექტრონული სერვისების განვითარებისათვის იყენებს არსებულ ცოდნას, ქმნის ინოვაციურ იდეებსა და მიდგომებს;
3. გეგმავს და ახორციელებს ახალი ცოდნის შექმნაზე მიმართულ კვლევით პროცესს, იყენებს უახლეს მიღწევებზე დამყარებულ კვლევისა და შედეგების შეფასების მეთოდებს;
4. აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით იკვლევს და ავითარებს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობის დანერგვასა და ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე ორიენტირებულ კვლევით და ანალიტიკურ სტრატეგიებს;
5. იყენებს ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის სამართლებრივ, ეთიკურ და სოციალურ სტანდარტებს;
6. განსაზღვრავს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, პრაქტიკულ საქმიანობაში იღებს კვლევაზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებას შესაბამისი სტანდარტების გათვალისწინებით;
7. კვლევის შედეგებსა და მიგნებებს ქართულ და ინგლისურ ენებზე წარუდგენს საჯარო მმართველობის და სახელმწიფოს ციფრული პოლიტიკის განმსაზღვრელებს, სამეცნიერო საზოგადოებას, დარგის სპეციალისტებს და არასპეციალისტებს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებით, ზოგადი და სპეციალური ხასიათის დისკუსიებში მონაწილეობით, კვლევითი და/ან პრაქტიკული პროექტების მომზადებით, თანამედროვე სწავლების მეთოდებითა და საგანმანათლებ-ლო სტრატეგიების შემუშავებითა და გამოყენებით;

8. ახდენს საჯარო მმართველობის, მათ შორის ციფრულ მმართველობასთან დაკავშირებული საფრთხეების, გამოწვევების პროგნოზირებასა და მათი დაძლევის მექანიზმების, საშუალებების შეთავაზებას.

წარმოდგენილი სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური.

მნიშვნელოვანია, რომ სწავლის მიზნებისგან განსხვავებით სწავლის შედეგებში გაცილებით მეტად იკვეთება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის შესაბამისი - უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადი და შესაბამისობაში მოდის კვალიფიკაციის შესაბამის დონესა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან საჯარო მმართველობის ციფრული პარამეტრის ყველა მიმართულებით დაფარვის დონეზე, იქნება ეს სექტორული (ციფრული ეკონომიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება და მეცნიერება, იუსტიციის სისტემა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა), კონცეპტუალური (G2C, G2B, G2G, G2E) თუ ციფრული მმართველობის განხორციელების დონეებიდან გამომდინარე. თუმცა, სასურველია, რომ თავად შედეგებშიც გაცილებით მეტად იკვეთებოდეს ამ ყველა პარამეტრის დაფარვის პოტენციალიც.

პროგრამა შესაბამისობაში მოდის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებთან, რომელიც დაკავშირებულია ციფრული მმართველობის სფეროში არსებული კადრების ნაკლებობით. ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან ვიზიტის დროს აქტიურად დაისვა შემდეგი საკითხიც - პროგრამის კურსდამთავრებულთა კვალიფიკაცია დოქტორის ხარისხის მფლობელთა სახით ხომ არ აღემატებოდა დარგში არსებულ მოთხოვნილებას, რომელიც, ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესაძლებელია დაკმაყოფილებულიყო სამაგისტრო საფეხურის შესაბამისი პროგრამის მეშვეობით. პროგრამის ხელმძღვანელების, ისევე როგორც დამსაქმებლების მხრიდან, ამ საკითხთან მიმართებაში გამოიკვეთა მტკიცე პოზიცია, რომ დარგი საჭიროებს კონცეპტუალურ განვითარებას და ამ მიმართულებით ცოდნის განვითარება სწორედ სადოქტორო საფერუხის შესებამისი კადრების მომზადებას საჭიროებს.

პროგრამის რუკაში დეტალურადაა წარმოდგენილი პროგრამის მიზნებისა და მისაღწევი შედეგების ურთიერთშესაბამისობა, პროგრამის შინაარსის და მისაღწევი შედეგების ურთიერთშესაბამისობა, პროგრამის შედეგების მიღწევის დადასტურება (განმტკიცების დონე) პროგრამის თითოეულ შედეგთან მიმართებით, პროგრამის კომპონენტის ათვისების ხარისხი სასწავლო და კვლევით კომპონენტებთან მიმართებით. სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასევე მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამის თითოული კომპონენტის რუკა ცალ-ცალკე. თუმცა, სასურველია, რომ პროგრამის შედეგების რუქაში, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თითოული კომპონენტის რუკაში სამიზნე ნიშნულების განსაზღვისას მითითებება ხდებოდეს ინტერვალური გრადაციებით. მაგ, ნაცვლად 100 – 20%, 80 – 20%; 60 – 40%; 20- 20%; 0 -0%; მოხდეს მითითება 81-100 – 20%; 61-80 – 40% და ა.შ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გასაანალიზებლად წარმოდგენილი დოკუმენტაცია იძლევა იმის თქმის შესაძლებლობას, ის გამოყენებული იქნება პროგრამის გასაუმჯობესებლად, რაც გულისხმობს, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის შინაარსის და/ან სწავლის შედეგების და/ან შეფასების სისტემის მოდიფიცირებას.

პროგრამის შედეგების შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა დაინტერესებული რელევანტური აქტორები, მათ შორის სტუდენტთა პოზიციების შესწავლა განხორციელდა მომიჯნავე სპეციალობის წარმომადგნლებისა და

პოტენციური დოქტორანტების დამოკიდებულებების შესწავლის საფუძველზე. პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას, რაც აქტიურად დადასტურდა ადგილზე ვიზიტის პირობებშიც დამსაქმებლებთან შეხვედრის დროს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა (კურიკულუმი, სწავლის შედეგების რუკა) - დანართი #01; ○ პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია - დანართი #03; ○ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (მათ შორის, პროგრამის და სასწავლო კომპონენტების შესა-ბამისობის რუკები) - დანართი #04; ○ შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი - დანართი #07; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, გარე და შიდა შეფასება შეფასება) - დანართი #13; ○ პროგრამის შემოწმების ფორმები (კურიკულუმის შემოწმების ფორმა, სილაბუსის შემოწმების ფორმა, პროგრამის შეფასების ფორმა); ○ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო; პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მე-თოდოლოგია (https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi); ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საინფორმაციო მასალები ○ ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: ▪ რეკომენდირებულია, რომ სწავლის შედეგების რუქაში ხდებოდეს დაზუსტება, იმის, თუ რა კომპონენტებით არის უზრუნველყოფილი ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მიღწევადობა დაგეგმილი და მეტად გამოიკვეთოს შედეგების გაზომვის პოტენციალი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია სწავლის შედეგების აღწერილობის შინაარსობრივი მხარე აქტიურად გამოიკვეთოს და უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროში ახალი ცოდნის გენერირებაზე ორიენტირებული განაცხადის შესაბამის ფორმულირებებში აქტიურად გამოჩნდეს ის პოტენციალი, რაც პროგრამას გააჩნია საჯარო მმართველობის ციფრული პარამეტრის ყველა მიმართულებით დაფარვის დონეზე, იქნება ეს სექტორული (ციფრული ეკონომიკა, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება და მეცნიერება, იუსტიციის სისტემა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა), კონცეპტუალური (G2C, G2B, G2G, G2E) თუ ციფრული მმართველობის განხორციელების დონეებიდან გამომდინარე.

• სასურველია, რომ პროგრამის შედეგების რუქაში, ისევე როგორც საგანმანათლებლო პროგრამის თითოული კომპონენტის რუკაში სამიზნე ნიშნულების განსაზღვისას მითითებება ხდებოდეს ინტერვალური გრადაციებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც კვალიფიკაცია მინიჭებული აქვს საჯარო მმართველობის, სამართლის, პოლიტიკის მეცნიერებების, მენეჯმენტის, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში; ასევე, შესაძლებელია სხვა სფეროში კვალიფიკაცია და არანაკლებ 3 წლის მართვის გამოცდილება საჯარო სექტორში. პროგრამაზე სწავლის მსურველ პირს შეუძლია თავად განსაზღვროს ამ პროგრამით სწავლის მიზანშეწონილობა (გაეცნოს ვებგვერდზე განთავსებულ პროგრამის აღწერილობას, გაესაუბროს პროგრამის ხელმძღვანელს, დააზუსტოს ინფორმაცია პროგრამის, მისი კომპონენტებისა და კვლევის შესაძლო სფეროების შესახებ, გაიაროს კონსულტაცია კვალიფიკაციისა და პროგრამის სპეციფიკის შესაბამისობის შესახებ და თავად მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება პროგრამაზე სწავლის განაცხადის შეტანის შესახებ). პროგრამაზე სწავლის მსურველს მოეთხოვება: 1) პროგრამაზე მიღების გამოცხადებაში მითითებული დოკუმენტების, მათ შორის დადგენილი ფორმით კვლევის კონცეფციის, წარდგენა; 2) ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობა (შეიძლება დადასტურდეს: შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამის დონეზე ენის ფლობის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატით (მაგ., TOEFL, IELTS, FCE) ან საქართველოში/უცხოეთში ინგლისურენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული ცნობით შემდგომში დიპლომის წარდგენის ვალდებულებით. უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომი უნდა იყოს აღიარებული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ); 3) ქართული ენის B2 დონეზე ფლობა იმ პირისთვის, რომლისთვის მშობლიური ენა არ არის ქართული (შეიძლება დადასტურდეს: შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით ან შესაბამის დონეზე ენის ფლობის დამადასტურებელი ვალიდური სერტიფიკატით ან ქართულენოვანი საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომით/უსდ-ს მიერ გაცემული ცნობით შემდგომში დიპლომის წარდგენის ვალდებულებით); 4) შესარჩევი კონკურსის გავლა (დაშვების წინაპირობა - ზემოთ მოთხოვნილი შესაბამისი პირობის დაკმაყოფილება). შესარჩევ კონკურსში მოიაზრება საკონკურსო დარგობრივ კომისიასთან გასაუბრება – კვლევის კონცეფციის წარდგენა (ბტუ-ში მოქმედი ფორმით). პროგრამაზე ჩარიცხვა მოხდება შესარჩევი კონკურსის (კვლევის კონცეფციის წარდგენისა და შეფასების) შედეგების საფუძველზე გამოცხადებული ვაკანტური

ადგილების ფარგლებში (თითოეული წლისთვის პროგრამაზე მიღება - არაუმეტეს 5 ვაკანტური ადგილი). პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობების - პროგრამაზე სწავლისთვის დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში (უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბტუ-ში მოქმედი განათლების აღიარების რეგულაციების შესაბამისად).

დეტალურად დოქტორანტურაში მიღების წესები და განმარტებები მითითებულია დოქტორანტურის დებულებაში - https://btu.edu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi. ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსდება რუბრიკაში: https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi.

შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს სადოქტორო პროგრამის - "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" შემთხვევაში განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ნათელი და მკაფიოა, ამასთან ის სრულ შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთანაც.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებია ციფრული ეკონომიკა, განათლება, მეცნიერება, ჯანდაცვა, სოფლის მეურნეობა, იუსტიციის სისტემა, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. ამავდროულად, ყოველწლიურად, პროგრამაზე მიღების გამოცხადებამდე ბტუ დაადგენს იმ წლისთვის კვლევის პრიორიტეტულ სფეროებს და ინფორმაციას აღნიშნულისა და პოტენციური სამეცნიერო ხელმძღვანელების შესახებ განათავსებს ბტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - დანართი #01;
- დოქტორანტურის დებულება - დანართი #11;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, პროგრამის შიდა შეფასება) - დანართი #13
- „დოქტორანტობის კანდიდატის განცხადება“ (ფორმის ნიმუში);
- „კვლევის პროექტის კონცეფცია“ (ფორმის ნიმუში);
- „თანხმობა დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე“ (ფორმის ნიმუში);
- „დოქტორანტობის კანდიდატთან გასაუბრების (კვლევის პროექტის პრეზენტაციის) შეფასება“ (ფორმის ნიმუში);
- „საპრეტენზიო კომისიის შეფასებები“ (ფორმის ნიმუში).
- ბტუ-ს ვებგვერდი - ინფორმაცია პროგრამის შესახებ განთავსდება რუბრიკაში: https://btu.edu.ge/ka/stsavla-btu-shi/programebi.
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ პროგრამა შემუშავებულია დარგის სპეციალისტების და დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ჩართულობით, ბტუ-ში მოქმედი მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომლის მოთხოვნები ვრცელდება პროგრამის სხვადასხვა ასპექტზე, მათ შორის პროგრამის სტრუქტურაზე. ინფორმაცია პროგრამის სტრუქტურის შესახებ მითითებულია პროგრამის აღწერაში (კურიკულუმში). პროგრამის ხანგრძლივობა არის მინიმუმ 3, მაქსიმუმ 5 აკადემიური წელი. პროგრამა სრულდება სადისერტაციო ნაშრომის შესრულებით და მისი საჯარო დაცვით. პროგრამის სტრუქტურა არის საქართველოს კანონმდებლობისა და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისი - მოიცავს სასწავლო კომპონენტს (არაუმეტეს 60 კრედიტისა) და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს (სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შესრულება ხორციელდება დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმების შესაბამისად):

▪ **სასწავლო კომპონენტის მოცულობა** არ აღემატება 60 ECTS-ის კრედიტს, რაც ნაწილდება პროგრამის ყველა როგორც სავალდებულო, ისე არჩევით სასწავლო კომპონენტზე. უზრუნველყოფილია არჩევანის შესაძლებლობა - არჩევითი კრედიტების ჯამური ოდენობა აღემატება პროგრამის არჩევითი ნაწილისთვის დადგენილი კრედიტების რაოდენობას. დოქტორანტის სრული სასწავლო დატვირვა სემესტრში არის 30 კრედიტი (პროგრამის ან დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია დოქტორანტის სემესტრული დატვირთვა იყოს 30 კრედიტზე ნაკლები ან მეტი (შემოდგომის სემესტრში - არაუმეტეს 40 კრედიტისა, გაზაფხულის სემესტრში - არაუმეტეს 50 კრედიტისა);

▪ **სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტით** დოქტორანტის კვლევის ფორმალიზება ხდება სადისერტაციო ნაშრომის სახით. ასევე, ნაშრომის შესრულების პროცესში დოქტორანტი ვალდებულია მოამზადოს და წარადგინოს:

- **სამეცნიერო კვლევის პროექტი** (სავალდებულო) - გულისხმობს დოქტორანტის მოხსენებას (სამეცნიერო კვლევის პროექტის პრეზენტაციას) და პრეზენტაციის შემდგომ დისკუსიას, რომლის მიზანია დოქტორანტს დაეხმაროს უფრო ნათლად გამოკვეთოს საკვლევი საკითხი, დააზუსტოს კვლევის ასპექტები, უკეთ გაიაზროს და ჩამოაყალიბოს კვლევის კითხვები ან/და ჰიპოთეზები, კვლევის გეგმა, კვლევის მოსალოდნელი შედეგები, კვლევის შეზღუდვები და უპირატესობები, განსხვავებული კუთხით დაინახოს და განსაზღვროს საკვლევი საკითხი და მისი აქტუალობა, მიიღოს რეკომენდაციები, რჩევები, სხვ.;
- **სადოქტორო სემინარი** (სავალდებულო) - გულისხმობს როგორც დოქტორანტის მოხსენებას (პრეზენტაციას) კვლევის აქტუალურ საკითხებზე, კვლევის მეთოდოლოგიაზე, კვლევის დაგეგმილ და უკვე მიღწეულ შედეგებზე და სხვ., ისე პრეზენტაციის შემდეგ დისკუსიას, რომლის მიზანია ახალი სამეცნიერო ლიტერატურის, მიღწევების, კვლევის თანამედროვე მეთოდებზე და პრობლემების განხილვა და დოქტორანტისთვის რჩევებისა და რეკომენდაციების მიცემა);
- **სამეცნიერო პუბლიკაციები** (სავალდებულო) - მინიმუმ ორი პუბლიკაცია კვლევის თემაზე: ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, ერთი სტატია შეიძლება იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში ან საქართველოში/უცხოეთში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში.

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც ქვე-სტანდარტის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. თუმცა, ცალკულ კურსებთან მიმართებაში არსებული გაუმჯობესების შესაძლებლობები უშუალოდ 2.3. კომპონენტშია აღწერილი.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა მეტწილად შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა,

სწავლის მიზნებთან და შედეგებთან მეტი თავსებადობის უზრუნველყოფის კუთხით, რეკომენდირებულია, რომ მეცნიერებისა და კვლევების მენჯმენტის კურსი, ისევე როგორც აკადემიური წერა, სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობის გამოცდილების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული კურსის სახით ტრანსფორმირების პირობებში, სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სახით იქნას იდენტიფიცირებული.

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) არის მეტწილად თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული. თუმცა, კითხვები ჩნდება სადოქტორო სემინართან მიმართებაში, რომელიც როგორც დასავლური, ისე საქართველოში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, წარმოადგენს სასწავლო და არა სამეცნიერო კომპონენტის ნაწილის, როგორც ეს საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის სადოქტორო პროგრამის შემთხვევაშია. ამასთან, არსებული გამოცდილებით, სადოქტორო სემინარი ემსახურება არა უშუალოდ სადისერტაციო ნაშრომის ცალკეული კომპონენტების კვლევას, არამედ დარგის მომიჯნავე სფეროს ფარგლებში განხორციელებულ კვლევის პირობებში სამეცნიერო პუბლიცირების გამოცდილების მიღებას. შესაბამისად, რეკომენდირებულია, სადისერტაციო პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს სადოქტორო სემინარის მიზანი და შესაბამისი სტატუსიც.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მეტწილად ეფუძნება საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხების უახლოესი კვლევის შედეგებსა და დარგის თანამედროვე მიღწევებს, უშუალოდ საჯარო მმართველობის ციფრული განზომილების სწავლებისა და კვლევის მიზნით სფეროს რელევანტური მასალებით კიდევ უფრო მეტად ინტეგრირების საჭიროება მაინც იკვეთება. ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია, შესაბამის ბიბლიოგრაფიაზე, საავტორო და თემატურ ინდექსებსა და თუნდაც, ამ უახლოეს გამოცემაში ფიქსირებულ ავტორებზე მეტი აქცენტირება (მაგ., Digital Government Managing Public Sector Reform in the Digital Era (Routledge Masters in Public Management) (Lips, Miriam) 2020).

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას. პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში კურიკულუმის სრული ვერსია განთავსდება ბტუ-ს ვებგვერდზე და ყველა დაინტერესებული პირი შეძლებს გაეცნოს პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს და სხვა საჭირო დოკუმენტაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა (კურიკულუმი, სილაბუსები) - დანართი #01;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (მათ შორის, პროგრამის და პროგრამის სასწავლო კომპო-ნენტების შესაბამისობის რუკები) - დანართი #04;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, შიდა შეფასება) - დანართი #13;
- კრედიტების რაოდენობის სისწორის შემოწმებბის ფორმა.
- ბტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTUClassRoom (ფაქტობრივი მდგომარეობა);
- ბტუ-ს ვებგვერდი
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ მეცნიერებისა და კვლევების მენჯმენტის კურსი, ისევე როგორც აკადემიური წერა, სამეცნიერო პუბლიკაციებზე მუშაობის გამოცდილების განვითარებაზე მეტად ორიენტირებული კურსის სახით ტრანსფორმირების პირობებში, სადოქტორო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სახით იქნას იდენტიფიცირებული.
- რეკომენდირებულია, სადისერტაციო პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს სადოქტორო სემინარის მიზანი და შესაბამისი სტატუსიც. იმ შემთხვევაში, თუკი უნივერსიტეტი პოზიციას არ შეიცვლის, რეკომენდირებულია რომ აღნიშნული კომპონენტი იდენტიფიცირებული იქნას როგორც კოლოქვიუმი.
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა მეტწილად ეფუძნება საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის საკითხების უახლოესი კვლევის შედეგებსა და დარგის თანამედროვე მიღწევებს, უშუალოდ საჯარო მმართველობის ციფრული განზომილების სწავლებისა და კვლევის მიზნით სფეროს რელევანტური მასალებით კიდევ უფრო მეტად ინტეგრირების საჭიროება მაინც იკვეთება. ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია, შესაბამის ბიბლიოგრაფიაზე, საავტორო და თემატურ ინდექსებსა და თუნდაც, ამ უახლოეს გამოცემაში ფიქსირებულ ავტორებზე მეტი აქცენტირება (Digital Government Managing Public Sector Reform in the Digital Era (Routledge Masters in Public Management) (Lips, Miriam) 2020).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტები მეტწილად სწავლის შედეგების შესაბამისია (კონკრეტული შენიშვნები შესაბამისი კომპონენტებისა და კურსების მიხედვითაა ქვევით არის აღწერილი) და ამავდროულად, სასწავლო კურსების უმრავლესობის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა რიგი გამონაკლისის გარდა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა ფასდება და კონკრეტდება ის მოთხოვნები, რომელიც შეფასების თითოეული კომპონენტის მიღმა იგულისხმება. • **კვლევის მეთოდების** კურსის ფარგლებში წარმოდგენილი როგორც ძირითადი, ისე დამატებითი ლიტერატურა უმეტესწილად ბიზნეს-ადმინისტრირების რელევანტურია და რეკომენდირებულია მისი უშუალოდ საჯარო მმართველობის სფეროსთან მეტი კავშირის მქონე შესაბამისი ლიტერატურით უზრუნველყოფა (Research Methods for Public Administrators, Sixth Edition, Elizabethann O'Sullivan, Gary Rassel, Maureen Berner, and Jocelyn DeVance Taliaferro, 2017.; Research Methods in Public Administration and Public Management, Second Edition, An Introduction, *Sandra van Thiel, 2020, Taylor & Frencis,* Handbook of Research Methods in Public Administration (Public Administration and Public Policy) 2nd Edition. by Gerald J. Miller (Editor), Kaifeng Yang (Editor), 2008 *…)* ასევე რეკომენდირებულია სადოქტორო საფეხურის შესაბამისი კვლევის მეთოდების რელევანტური ლიტერატურით გაჯერებაც (Social research Methods by Alan Bryman, Oxford University Press, 2012 და სხვა, მათ შორის ქართულენოვანი მასალები). რაც შეეხება კურსის შინაარსობრივ მხარეს, ჩნდება კითხვები იმასთან მიმართებაში, თუ რამდენად ხერხდება თითოეული მეთოდის ფარგლებში შესაბამისი განმარტებებისა და მითითებების მიცემა. სასურველია, რომ

სილაბუსში დაზუსტდეს იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომლის დაფარვაც იგეგმება, განსაკუთრებით თვისებრივი კვლევის მეთოდების ნაწილში, რაც ასევე დააზუსტებს კითხვას კურსისთვის მინიჭებული კრედიტული დატვითვის რელევანტურობასთან მიმართებით.

- **ციფრული ეკონომიკის,** ისევე როგორც **მენეჯმენტისა და ლიდერობის** კურსის შემთხვევაში სასურველია დაზუსტდეს შეფასების გრადაციებში ფიქსირებული ზოგადი მოთხოვნების მიღმა არსებული სპეციფიური მოთხოვნები, რომელიც შესრულების აუცილებლობის წინაშე იქნება დოქტორანტი სტუდენტი კურსის შეფასებისას. განსაკუთრებით, ეს ეხება საბოლოო პროექტზე მუშაობის ნაწილს. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ პროექტის მომზადებისას გათვალისწინებული იყოს შესასრულებელი სამუშაოს სადოქტორო საფეხურის შესაბამისი და პროგრამის შედეგებთან მიმართებაში რელევანტური სირთულეც.
- **მენეჯმენტისა და ლიდერობის** კურსის შემთხვევაში რეკომენდირებულია ბიზნეს ადმინისტრირებაზე აქცენტის საჯარო მმართველობის კუთხით მართვა, რაც დადასტურებულად უნდა იკვეთებოდეს, როგორც თემატიკის, ისე რელევანტური ლიტერატურის დონეზეც.
- **აკადემიური წერის** კურსის წარმოდგენილი სილაბუსი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სამეცნიერო წერის სახით იყოს შემოთავაზებული, განსაკურებით იმ პირობებში, როცა მისი შინაარსი საკმაოდ აქტიურად ემთხვევა ამ სახელწოდებას. სასურველია ასევე, რომ მასში შემოტანილი იყოს პუბლიკაციებზე მუშაობის (შერჩევა, სამუშაო პროცესი... და რეცენტენტების მიერ მირებულ შენიშვნებზე მუშაობა და ა.შ.,) და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის სპეციფიკაც, რათა უშუალოდ სამეცნიერო კომპონენტის დაწყებამდე სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი წარმოდგენა მათ წინაშე არსებული მოთხოვნების შესახებ. რეკომენდირებულია კურსის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში გადატანაც, ვინაიდან მაღალია ალბათობა, რომ მსგავსი შინაარსის კურსი სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური ფოკუსით, პროგრამაზე ჩაბარებული სტუდენტების დიდ ნაწილს არ ექნება გავლილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა (კურიკულუმი, სილაბუსები) - დანართი #01;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი (მათ შორის, პროგრამის და პროგრამის სასწავლო კომპო-ნენტების შესაბამისობის რუკები) - დანართი #04;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, შიდა შეფასება) - დანართი #13;
- კრედიტების რაოდენობის სისწორის შემოწმებბის ფორმა.
- ბტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTUClassRoom (ფაქტობრივი მდგომარეობა);
- ბტუ-ს ვებგვერდი
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, განხორციელდეს 2.3. ქვესტანდარტში ფიქსირებული შესაბამისი კურსების მინიმუმ ძირითადი ლიტერატურის დონეზე, უშუალოდ

მისანიჭებელი ხარისხის შესაბამის - საჯარო მმართველობის სფეროსთან მეტი კავშირის მქონე თემტიკითა და უახლესი ლიტერატურით უზრუნველყოფა. • რეკომენდირებულია აკადემიური წერის კურსის სავალდებულო სასწავლო კომპონენტში გადატანა, ვინაიდან მაღალია ალბათობა, რომ მსგავსი შინაარსის კურსი სადოქტორო პროგრამისთვის რელევანტური ფოკუსით, პროგრამაზე ჩაბარებული სტუდენტების დიდ ნაწილს არ ექნება გავლილი.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • სასურველია, რომ კვლევის მეთოდების სილაბუსში დაზუსტდეს იმ მეთოდების ჩამონათვალი, რომლის დაფარვაც იგეგმება, განსაკუთრებით თვისებრივი კვლევის მეთოდების ნაწილში. • აკადემიური წერის კურსის წარმოდგენილი სილაბუსი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე სასურველია სამეცნიერო წერის სახით იყოს შემოთავაზებული, განსაკურებით იმ პირობებში, როცა მისი შინაარსი საკმაოდ აქტიურად ემთხვევა ამ სახელწოდებას. სასურველია ასევე, რომ მასში შემოტანილი იყოს პუბლიკაციებზე მუშაობის (შერჩევა, სამუშაო პროცესი... და რეცენტენტების მიერ მირებულ შენიშვნებზე მუშაობა და ა.შ.,) და სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის სპეიციფიკაც, რათა უშუალოდ სამეცნიერო კომპონენტის დაწყებამდე სტუდენტებს ჰქონდეთ შესაბამისი წარმოდგენა მათ წინაშე არსებული მოთხოვნების შესახებ.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, დოქტორანტურის პროგრამის შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევის და ანალიტიკური უნარები, რისი განვითარებაც ხორციელდება პროგრამის სასწავლო კომპონენტიდან დაწყებული სადისერტაციო კვლევის შესრულებით დამთავრებული და რომელთა დემონსტრირებას დოქტორანტი ახდენს განხორციელებული კვლევის ხარისხით - გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციებით და სადისერტაციო ნაშრომით, რომელთა მეშვეობით ხდება კვლევითი საქმიანობის შედეგების ფორმალიზება. დოქტორანტურის დებულება განსაზღვრავს სამეცნიერო ნაშრომის სტანდარტებს, კერძოდ, სამეცნიერო ნაშრომი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დასკვნითი შემაჯამებელი ნაწილია, რომელიც წარმოადგენს საავტორო ნაშრომს და ხელნაწერის უფლების მქონე სამეცნიერო ნაშრომის ფორმას. ის მომზადებულია საჯარო დაცვისათვის და აკმაყოფილებს ქვევით მითითებულ სტანდარტებს: 1) დისერტაცია წარმოადგენდეს დოქტორანტის მიერ ინდივიდუალურად დაწერილ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც უნდა ასახავდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი თეორიული და/ან ექსპერიმენტული სამეცნიერო კვლევის დასაბუთებულ შედეგებს; 2) დისერტაცია უნდა მეტყველებდეს მეცნიერებაში დოქტორანტის მიერ შეტანილ წვლილზე და მას უნდა ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შექონდეს დარგის განვითარებაში. გამოყენებითი ხასიათის დისერტაციაში უნდა იყოს მოცემული ინფორმაცია მიღებული სამეცნიერო შედეგების პრაქტიკული გამოყენების შესახებ, თეორიული მნიშვნელობის დისერტაციაში კი - სამეცნიერო დასკვნების გამოყენებასთან დაკავშირებული რეკომენდაციები; 3) დისერტაცია არის ნაშრომი, რომელშიც დოქტორანტის მიერ შესრულებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია თეორიული დებულებები, რომელთა ერთობლიობა შეიძლება იყოს დახასიათებული როგორც, მაგ.: სამეცნიერო მიღწევა, სოციალური/დარგობრივი/სხვ. მნიშვნელობის მქონე სამეცნიერო პრობლემის გადაჭრა, მნიშვნელობანი ტექნიკური, ეკონომიკური ან ტექნოლოგიური ინოვაციები, შესაბამისი დარგისთვის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრის გზები ან/და სხვ.; 4) დისერტაცია უნდა მოიცავდეს ახალი მიგნებების და სამეცნიერო დებულებების ერთობლიობას, რომლებიც დისერტანტს გამოაქვს საჯარო დაცვაზე. დოქტორანტის მიერ შეთავაზებული მიგნებები, რეკომენდაციები და დასკვნები უნდა იყოს დასაბუთებული და კრიტიკულად შეფასებული სფეროში უკვე არსებულ ცოდნასთან შედარების გზით; 5) უნდა განისაზღვროს დისერტაციის არსი, რაც მნიშვნელოვანია სამეცნიერო ნაშრომის ძირითადი შედეგების განსაზღვრისთვის. აუცილებელია მოკლედ

აღიწეროს სამუშაოს თავისებულებები, რომლებიც განასხვავებენ სამუშაოს უკვე არსებული ანალოგებისაგან;

6) სამეცნიერო ნაშრომი იწყება კვლევითვის შერჩეული პრობლემის ფორმულირებით, ანუ იმ საკითხების ერთობლიობის განსაზღვრით, რომლებზეც დღეისათვის პასუხები არ არსებობს. ამისთვის აუცილებელია არსებული ცოდნის ანალიზი და კრიტიკული გააზრება. ყველა დასმული კითხვის გააზრება დაკავშირებულია სამეცნიერო ნაშრომის გეგმასთან;

7) დისერტაციას უნდა ახასიათებდეს სტრუქტურული და მეთოდოლოგიური ერთობლიობა და ჰქონდეს დასრულებული კვლევის სახე;

თუმცა, დოქტორანტურის დებულებაში ნახსენები ტერმინების - „გამოყენებითი ხასიათის დისერტაცია“ და „თეორიული მნიშვნელობის დისერტაცია“ ქმნის შთაბეჭდილებას, რომ დებულება ითვალისწინებს ორი ასეთი ტიპის დისერტაციის შესაძლებლობას, რაც წინააღმდეგობაში მოდის დოქტორანტურის დებულებით ზევით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ აქცენტი კეთდებულდეს დისერტაციის პრაქტიკულ რეპლიკაციის შესაძლებლობაზე და არა ორი ტიპის დისერტაციაზე. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ ამ ტერმინების „გამოყენებითი ხასიათის დისერტაცია“ და „თეორიული მნიშვნელობის დისერტაცია“ გამოყენება დებულებაში არ ხდებოდეს.

დისერტაციის წარდგენამდე, სხვა მნიშვნელოვან ვალდებულებებთან ერთად, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ ორი პუბლიკაცია კვლევის თემაზე: 1) ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში, 2) ერთი სტატია შეიძლება იყოს გამოქვეყნებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში ან საქართველოში/უცხოეთში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში. მიუხედავად იმისა, რომ სადისერტაციო ნაშრომის დაცვის საქმისწარმოების ჩამონათვალში მითითებულია - დოქტორანტის ავტორობით ან/და თანაავტორობით შესრულებული, გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები, სხვ. (დედანი/ასლი), სასურველია, რომ პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - კერძოდ კი, 4. სამეცნიერო პუბლიკაციების ქვეპუნქტის განმარტებისას, დაზუსტდეს, რომ დოქტორანტს ეთვლება თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.

დოქტორანტურის დებულებაში სადისერტაციო ნაშრომთან მიმართებაში ფიქსირებული მოთხოვნების გარდა, არ გვხვდება სადისერტაციო ნაშრომის მომზადების ინსტრუქცია, რაც მნიშვნელოვანია ხარისხიანი დოკუმენტის მოსამზადებლად. ასეთი ინსტრუქციების საჭიროებას ადასტურებს მომიჯნავე სადოქტორო საფეხურის სადისერტაციო ნაშრომების შესწავლაც, რომელიც მეტად სისტემური სახით მართვის დამადასტურებელი აღმოჩნდა. შესაბამისად, რეკომენდირებულია, რომ სადისერტაციო დოკუმენტაციაში დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნების გაცილებით მეტად დეტალური განმარტება და კონკრეტული ინსტრუქციებისა და ილუსტრაციების/მაგალითების მოყვანა და იდენტიფიცირება ხდებოდეს ცალკე დოკუმენტის - სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქციის სახით. ამასთან, მსგავსი დოკუმენტი ორიენტირი აღმოჩნდება სხვა სახის დოკუმენტებზე, მათ შორის გამოსაქვეყნებლად მოსამზადებელ სტატიებზე, მუშაობისთვისაც.

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როგორც ეს თვითშეფასების დოკუმენტშია ხაზგასმული და ადგილზე ვიზიტის პროცესშიც აქტიურად გამოიკვეთა, კვლევით

საქმიანობის ხელშეწყობა და აქტუალიზაცია წარმოადგენს ბტუ-ს კვლევების ცენტრის ერთ-ერთ მიზანს, მათ შორის: სამეცნიერო კვლევებში და პროექტებში ბტუ-ს დოქტორანტების ჩართვა, ბტუ-ს დოქტორანტების კონსულტირება, მათთვის დახმარების გაწევა და სხვა. კვლევების ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების სამსახურები უზრუნველყოფენ საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით პარტნიორების მოძიებას, სამეცნიერო კონფერენციების, კვლევით/პრაქტიკული საგრანტო პროექტების, დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში დახმარებას და სხვა.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს კვლევითი კომპონენტის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობაზეც. დოქტორანტების კვლევითი პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ბტუ-ს პროექტებში ჩართულობისა და ბტუ-ს პარტნიორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. ასე, მაგალითად, ბრაგანჩას პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა (პორტუგალია) გამოთქვა მზაობა 2 კვლევითი ცენტრი ჩართოს თანამშრომლობაში, უმასპინძლოს ბტუ-ს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს და შესთავაზოს თანახელმძღვანელობა წამყვანი პორტუგალიელი პროფესორების კოორდინირებით. პორტოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია), რომელიც ევროკავშირის დაფინანსებული ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებშია ბტუ-ს პარტნიორი, ესპანეთის ლა კორუნიას უნივერსიტეტი და ლიეტუვის კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მზაობას გამოთქვამს პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში განავითაროს თანამშრომლობა სადოქტორო პროგრამის მიმართულებით. თუმცა, სასურველია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით არსებული მზაობა დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) - დანართი #01;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები - დანართი #08.
- ვიზიტის დროს გამოთხოვილი დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის პარტნიორი უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ელექტრონული კომუნიკაციის შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია, რომ სადისერტაციო დოკუმენტაციაში დოქტორანტურის დებულებაში წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის მოთხოვნების გაცილებით მეტად დეტალური განმარტება და კონკრეტული ინსტრუქციებისა და ილუსტრაციების/მაგალითების მოყვანა და იდენტიფიცირება ხდებოდეს ცალკე დოკუმენტის სახით, რომელშიც მოცემული იქნება სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის ინსტრუქცია და ამასთან, მსგავსი დოკუმენტი ორიენტირი აღმოჩნდება სხვა სახის დოკუმენტებზე, მათ შორის გამოსაქვეყნებლად მოსამზადებელ სტატიებზე, მუშაობისთვისაც.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ დოქტორანტურის დებულებაშუ აქცენტი კეთდებულდეს დისერტაციის პრაქტიკულ რეპლიკაციის შესაძლებლობაზე და არა ორი ტიპის დისერტაციაზე. სწორედ ამიტომ, სასურველია, რომ ამ ტერმინების „გამოყენებითი

ხასიათის დისერტაცია“ და „თეორიული მნიშვნელობის დისერტაცია“ გამოყენება დებულებაში არ ხდებოდეს.

- სასურველია, რომ პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - კერძოდ კი, 4. სამეცნიერო პუბლიკაციების ქვეპუნქტის განმარტებისას, დაზუსტდეს, რომ დოქტორანტს ეთვლება თანაავტორობით გამოქვეყნებული პუბლიკაციებიც.
- სასურველია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით არსებული მზაობა დადასტურებული იყოს შესაბამისი დოკუმენტებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს კვლევითი კომპონენტის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობაზეც. დოქტორანტების კვლევითი პოტენციალის განვითარებისათვის მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ბტუ-ს პროექტებში ჩართულობისა და ბტუ-ს პარტნიორებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა. ასე, მაგალითად, ბრაგანჩას პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა (პორტუგალია) გამოთქვა მზაობა 2 კვლევითი ცენტრი ჩართოს თანამშრომლობაში, უმასპინძლოს ბტუ-ს სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს და შესთავაზოს თანახელმძღვანელობა წამყვანი პორტუგალიელი პროფესორების კოორდინირებით. პორტოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტი (პორტუგალია), რომელიც ევროკავშირის დაფინანსებული ინსტიტუციური თანამშრომლობის პროექტის ფარგლებშია ბტუ-ს პარტნიორი, ესპანეთის ლა კორუნიას უნივერსიტეტი და ლიეტუვის კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი მზაობას გამოთქვამს პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში განავითაროს თანამშრომლობა სადოქტორო პროგრამის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადოქტორო პრორამის "ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში" თითოეული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა და ინდივიდუალური კონსულტაციები სადოქტორო პროგრამაზე სწავლის სრული ციკლის პერიოდში. შესაბამისი დოკუმენტაციით არის მართული სამეცნიერო ხელმძღვანელთან/თანახელმძღვანელთან ურთიერთობის ფორმები და გახორციელდება მათ ეფექტურად გამოყენებაზე დაკვირვებაც ხარისხის მართვის შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამა (კურიკულუმი, სილაბუსები) - დანართი #01; ○ პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია - დანართი #03; ○ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (მათ შორის, შიდა შეფასება) - დანართი #13; ○ „შეთანხმება ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაზე“ (სასწავლო კომპონენტისთვის ფორმის ნიმუში); ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTUClassRoom (ფაქტობრივი მდგომარეობა). ○ ბტუ-ს ვებგვერდი: ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების დებულება; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საინფორმაციო მასალები ○ ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ საჯარო სექტორში ციფრული მმართველობისა და ხელოვნური ინტელექტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში მოცემული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები არის საჯარო, გამჭირვალე და ხელმისაწვდომი დოქტორანტებისათვის. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). თითოეული შეფასებისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. როგორც მომიჯნავე პროგრამის დოქტორანტებთან შეხვედრისას და პროგრამის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, შეფასების კრიტერიუმების შესახებ ინფორმაცია სტუდენტებს მიეწოდებათ სემესტრის დასაწყისშივე. თითოეულ სასწავლო კურსში შეფასება მორგებულია სწავლების შინაარსსა და ითვალისწინებს მოცემული კურსის სპეციფიკას. პროგრამის სილაბუსებში გაწერილია შეფასების ის ფორმები და მეთოდები, რომლებიც სწავლის მეთოდებთან ერთად ითვალისწინებს კურსის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთანავე, შეფასებები აისახება სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში - BTU-ClassRoom და სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა, რეგისტრაციის შედეგად დეტალურად გაეცნოს ცალკეული კურსის შეფასების ძირითად კომპონენტებს. ხაზგასასმელია, რომ მოცემული სასწავლო პროგრამის სილაბუსებში წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ

პროგრმით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: პრეზენტაციებს, დისკუსიასა და განხილვებში მონაწილეობას, პრაქტიკულ და თეორიულ დავალებებს, ასევე სამუშაო ჯგუფში მუშაობას.

როგორც გასაუბრებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სწავლების დამამთავრებელ ეტაპზე სტუდენტი წარადგენს სადისერტაციო ნაშრომს. დისერტაციის შეფასების სისტემა გამჭირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დაცვის კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ მდივანს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე), რომელსაც შეეფარდება ლათინური შეფასება. დისერტაციის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება. დისერტაციის დადებითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით: ა. ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – 91 ქულა და მეტი; ბ. ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – 81-90 ქულა; გ. კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება - 71-80 ქულა; დ. საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს – 61-70 ქულა; ე. დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – 51-60 ქულა. დისერტაციის უარყოფითი შეფასება წარმოებს შემდეგი სისტემის მიხედვით: ა. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – 41- 50 ქულა; ბ. სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – 40 ქულა და ნაკლები.

დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში დისერტაცია მიიჩნევა დაცულად. არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება. ამ მიზნით, მას უფლება აქვს შედეგის გამოცხადებიდან ერთი თვის განმავლობაში სადისერტაციო საბჭოს სამდივნოს წარუდგინოს განცხადება ნაშრომის გადამუშავებისა და დისერტაციის განმეორებითი დაცვის მოთხოვნით. დისეტაციის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები შეესაბამება სადისერტაციო ნაშრომის სტანდარტებს.

როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტების გამოკითხვისას გამოიკვეთა, სტუდენტები გარდა აღნიშნული შეფასების სისტემისა, ასევე კარგად იცნობენ ნაშრომის აკადემიური კუთხით გაფორმების, აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტებსა და პლაგიატის პროგრამაში მოცემული ნაშრომის შემოწმების წესებსაც.

ვიზიტის განმავლობაში, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს, ასევე გამოიკვეთა, რომ რეგულარულად ხორციელდება მათი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემისა და შეფასებასთან დაკავშირებით მოქმედი და ახალი რეგულაციების შესახებ. ამასთანავე, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით, რაც საშუალებას აძლევთ, გააუმჯობესონ სწავლის შედეგები. როგორც ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტები ასევე კარგად იცნობენ უნივერსიტეტში მოქმედ სააპელაციო სისტემას. აღნიშნული საშუალებას აძლევს სტუდენტებს, საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივრონ შეფასების შედეგები. წერილობითი

დასაბუთებული საპტერენზიო განცხადებით სტუდენტს საშუალება ეძლევა მიმართოს დეკანს. დოქტორანტის პრეტენზიის საფუძვლიანად მიჩნევის შემთხვევაში, ხორციელდება ნაშრომის განმეორებითი შეფასება. საპრეტენზიო განცხადების განხილვის შედეგი საბოლოოდ ეცნობება სტუდენტს უნივერსიტეტის შინაგანაწესში მითითებულ ვადებში. აქვე ხაზგასასმელია, რომ აკადემიურ პერსონალთან გასაუბრებამ და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის პროგრამის ფარგლებში შეფასების სისტემის თაობაზე ხდება ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება კონსულტაციების მეშვეობით. განსაკუთრებით მოწვეულ პერსონალს დეტალურად ეცნობა არსებული გაიდლაინები ელექტრონული შეფასების სისტემისა და შეფასების მექანიზმებთან დაკავშირებული ახალი სტანდარტებისა და წესების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა BTUClassRoom; ○ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2018 წლის 29 აგვისტოს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულება; ○ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანება;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში ექსპერტთა მიერ ინტერვიუს ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტებისათვის მოცემული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ყველა ის საჭირო დახმარება და კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ჩატარებული ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, მოცემულ პროცესში სტუდენტებს დახმარებას უწევენ როგორც პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ასევე ადმინისტრაციის, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლებიც ერთობლივად უზრუნველყოფენ დოქტორნატისათვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც უშუალოდ სწავლის პროცესთან დაკავშირებით, ასევე

მათი შემდგომი პროფესიული ზრდის შესაძლებლობების თაობაზეც. კონსულტაციები იმართება როგორც პროგრამაზე ჩარიცხვიდან პირველივე სემესტრის დასაწყისში, ასევე სემესტრის განმავლობაშიც, რომლის დროსაც სტუდენტებს მიეწოდებათ ამომწურავი ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და მასთან დაკავშირებული საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ. დოქტორანტთა აკადემიურ მხარდაჭერას უზრუნველყოფენ ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის თანამშრომლები და დოქტორანტის ხელმძღვანელი. სასწავლო პროცესის მართვის სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის ადმინისტრირებას. ხოლო სხვა ზემოთ ჩამოთვლილი პირები, თავის მხრივ, უზრუნველყოფენ სტუდენტთა სათანადო კონსულტაციას როგორც სამეცნიერო კვლევითი-საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების თაობაზე, ისე სტუდენტთა შეფასებისა სისტემისა და კრედიტების დაგროვების პროცესის შესახებ. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, სტუდენტები იღებენ ამომწურავ ინფორმაციას საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროფესორების მონაწილეობით დაგეგმილ დარგობრივი ტრეინინგებისა და სემინარების შესახებ, ასევე ინფორმაციას საერთაშორისო კონფერენციების თაობაზე. აქვე ხაზგასასმელია, რომ უნივერსიტეტში მოქმედი კვლევების ცენტრი აქტიურად და სრულად უზრუნველყოფს დოქტორანტებისათვის უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევითი პროექტებისა თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული კვლევების ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობების და განვითარების სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით პარტნიორების მოძიებას, საგრანტო პროექტებისა და სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას. ასევე მხარდაჭერას უცხადებს დოქტორანტებს საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში. პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისათვის ასევე განსაზღვრულია საერთაშორისო და ადგილობრივ ჟურნალებში კვლევითი სტატიის გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით ტრეინინგებისა და სემინარების ჩატარება და ამ მიმართულებით ამომწურავი კონსულტაციების გაწევა.

რაც შეეხება მკვლევართა შემდგომ პროფესიულ ზრდას, დოქტორანტთა კარიერული განვითრების მიზნით, BTU Classroom-ის პროგრამაში ჩაშენებულია ფუნქცია „სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო“, რაც გულისხმობს დოქტორანტის მხარდაჭერას დამსაქმებლისათვის მისი მიღწევებისა და საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების პროცესში. აღნიშნული საშუალებას აძლევს დოქტორანტს ითანამშრომლოს საკუთარი პროფესიული ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა უწყებებთან და ორგანიზაციებთან. აღნიშნული ელექტრონული პორტფოლიო იმართება უნივერსიტეტის კარიერული განვითარების ცენტრის მიერ, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტსა და პოტენციურ დამსაქმებელს შორის აქტიურ და ნაყოფიერ კომუნიკაციას.

ამასთანავე, სტუდენტებს საშუალება აქვთ, აკადემიური პერსონალისგან სილაბუსით გაწერილ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. კონსულტაციისთვის გამოიყენება როგორც ინდივიდუალური შეხვედრები, ასევე ონლაინ-კონსულტაციები. სტუდენტები ასევე აქტიურად არიან ჩართულნი თვითშფასების პროცესში. მონაწილეობენ როგორც სემესტრულ გამოკითხვებში, რომლითაც აფასებენ სხვადასხვა სასწავლო კურსებს, ასევე მონაწილეობენ საერთო კმაყოფილების კვლევის პროცესში. როგორც მომიჯნავე პროგრამის დოქტორანტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, თვითშეფასების ჯგუფის მიერ რეგულარულად ტარდება საკონსულტაციო შეხვედრები სტუდენტებთან, რომლებზედაც განიხილება სტუდენტთა პოზიციები.

გამოკითხვა ხორციელდება ანონიმურობის დაცვით. აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირების მიზნით ეფექტურად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სატელეფონო კომუნიკაცია, სწავლების ელექტრონული პლატფორმა და უნივერსიტეტის ოფიციალური ელექტრონული გვერდი. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე რეგულარულადაა განთავებული და განახლებული ინფორმაცია სტუდენტთა გაცვლით პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობის თაობაზე, საკვლევი გრანტებისა თუ პროექტების შესახებ. უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს დოქტორანტთა წახალისების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს როგორც არამატერიალურ წახალისებას (მადლობის გამოცხადება, დისციპლინარული სახდელის მოხსნა, დაკისრებული ჯარიმის მოხსნა და/ან სხვ.), ასევე მატერიალური წახალისებას (მაგ. ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, კვლევითი საქმიანობის დაფინანსება, აკადემიური სტიპენდია და სხვ.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის დოქტორანტებთან; ○ სასწავლო კურსის სილაბუსები; ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ ფაკულტეტის ვებგვერდი; ○ ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან; ○ ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2018 წლის 29 აგვისტოს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულება;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში)
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით, აკადემიურ პერსონალთან, მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და დოქტორანტების ხელმძღვანელებთან გასაუბრების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოცემულ პროგრამას ემსახურება კვალიფიციური კადრები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამომავლოდ სტუდენტთან სადოქტორო საფეხურზე კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადებასა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების პროცესში. პროგრამის მულტიდისციპლინურობიდან გამომდინარე, დოქტორანტთა ხელმძღვანელებად შერჩეულნი არიან სამეცნიერო კადრები, რომელთა კომპეტენცია სრულად შეესაბამება და ითვალისწინებს პროგრამის ინტერდისციპლინურობასა და უზრუნველყოფს საკვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით მაღალპროფესიული და კომპეტენტური ხელმძღვანელობის პროცესის წარმოებას. თუმცა, ამ მიმართულებით შემდგომი გაუმჯობესების შესაძლებლობა დაკავშირებულია 4.1. ქვესტანდარტში დაფიქსირებული რეკომენდაციის შესრულებასთან. ამავდროულად, სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაცილებით აქტიური მუშაობა აწარმოოოს უცხოელ პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობის ფორმალიზაციისა და თანახელმძღვანელობის სისტემის გასამართად. როგორც მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, პროგრამის ფარგლებში დოქტორანტს ეძლევა საშუალება კვლევითი საქმიანობის დაგეგმვისა და სადისერტაციო ნაშრომის მომზადების პროცესში რეგულარული კონსულტაციები მიიღოს როგორც ხელმძღვანელისგან, ისე სხვა აკადემიური პერსონალისგანაც. სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანონ თანახელმძღვანელიც როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტების აკადემიური წრიდანაც. როგორც მომიჯნავე პროგრამის დოქტორნატების ხელმძღვანელებთან და დოქტორანტებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, სასწავლო პროცესის განმავლობაში სტუდენტებს სისტემატური შეხვედრები აქვთ როგორც ნაშრომის ხელმძღვანელთან, ისე პროგრამის ხელმძღვანელებთან. ყოველ სემესტრში დოქტორანტი ვალდებულია წარადგინოს მოკლე ანგარიში განხორციელებული აქტივობების და სადისერტაციო კვლევის მდგომარეობის შესახებ, რასაც მოსდევს სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელების უკუგება. თითოეული დოქტორანტი პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინტერვიუს შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ აკადემიური პერსონალი მაქსიმალურად უზრუნველყოფს სტუდენტთან სადოქტორო საფეხურზე შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოებას და მათთვის დახმარების გაწევას საერთაშორისო პუბლიკაციების მომზადების, სადოქტორო დისეტაციაზე მუშაობისა თუ კვლევითი გრანტების მოპოვების

პროცესში. სამეცნიერო ხელმძღვანელი ასევე უზრუნველყოფს დოქტორანტისთვის საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, დარგის შესაბამისი პრაქტიკოსი მენტორის და უცხოური უსდ-ს მკვლევარებთან თანამშრომლობას.

ხელმძღვანელი ასევე აცნობს დოქტორანტს უნივერსიტეტში მოქმედი აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის მოთხოვნებს და მათი დაცვის მნიშვნელობას. ხელმძღვანელს უფლება აქვს უხელმძღვანელოს არაუმეტეს 3 დოქტორანტს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ პირველად ახორციელებს დოქტორანტის ხელმძღვანელობას - არაუმეტეს 1 დოქტორანტს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუ თვითშფასების ჯგუფთან;

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ 2018 წლის 29 აგვისტოს დამტკიცებული დოქტორანტურის დებულება;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტმა გაცილებით აქტიური მუშაობა აწარმოოოს უცხოელ პარტნიორებთან არსებული თანამშრომლობის ფორმალიზაციისა და თანახელმძღვანელობის სისტემის გასამართად.

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საერთო რიცხვია 17, საიდანაც 7 არის უსდ-ს აკადემიური პერსონალი, ხოლო 10 არის მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალის 17 წარმომადგენელი შემდეგნაირად ნაწილდება: 3 პროფესორი, 4 ასოცირებული პროფესორი. პროგრამაში ჩართულია ასევე 5 მეცნიერი. აკადემიური პერსონალიდან 5 არის აფილირებული, საიდანაც 2 არის აფილირებული პროფესორი, 3 არის აფილირებული ასოცირებული პროფესორი.

სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა განისაზღვრება 10 აკადემიური პერსონალით, რაც მისაღებ კონტიგენტთან მიმართებაში (ყოველწლიურად 5 სტუდენტი) სრულიად რელევანტიურია. თუმცა, სასურველია, რომ გაიზარდოს პროგრამის აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა. თუმცა, როგორც ეს ქვევით იქნება განხილული, რეკომენდირებულია კადრების მატება უშუალოდ საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მფლობელი აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით.

პროგრამის ხელმძღვანელი არის სამართლის დოქტორი და უსდ-ს კვლევითი ცენტრის დირექტორი და პროფესორი. მას აქვს მრავალწლიანი გამოცდილება კერძო ასევე საჯარო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიმართულებით. საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა 2005 წლიდან. მოპოვებული აქვს არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული კვლევითი სტიპენდია. 2022 წელს გამოსცა მონოგრაფია ინტერნეტ სამართალი და ხელოვნური ინტელექტი. არის საჯარო მმართველობის ბიუროს ექსპერტი ელექტრონული მმართველობის დანერგვის სფეროში. არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

პროგრამის თანახელმძღვანელი არის სამართლის დოქტორი და უსდ-ს პროფესორი. აკადემიურ თანამდებობას იკავებს სხვადასხვა უსდ-ში 2009 წლიდან. აქვს მრავალწლიანი გამოცდილება საჯარო სამსახურში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობის მიმართულებით. სისტემატურად მონაწილეობს თემატურ საერთაშორისო კონფერენციებსა და ფორუმებში. არის არაერთი სამეცნიერო სტატიის ავტორი.

პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეები ცხადყოფს, რომ პროგრამის ორივე ხელმძღვანელის ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისა და მართვის საჭიროებებთან.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის სასწავლო შედეგებით გათვალისწინებული კომპეტენციების გამომუშავებისათვის დასტურდება პროგრამაზე დართული პირადი საქმეებით, რაც გამოკვეთს, როგორც სფეროში არსებულ პრაქტიკულ გამოცდილებას, ასევე ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემულ სამეცნიერო სტატიებს, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში, ტრენინგებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებში მონაწილეობას. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ მუშაობის პროცესში მხედველობაში იქნა მიღებული სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებლები ბოლო 5 წლის მონაცემებით.

სადოქტორო პროგრამაში ჩართული კვალიფიციური კადრების არსებობის მიუხედავად, რომელიც წინა სააკრედიტაციო პერიოდის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა და შეივსო აქტიურად, რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი დარგობრივი - საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა განსაკუთრებით უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის ფარგლებში არსებული პროფესორების დოქტორანტების თანახელმძღვანელებად მოწვევის მიმართულებით.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული ადმინისტრაციული პერსონალი არის შესაბამისი კვალიფიკაციის, რაც უზუნველყოფს პროგრამის მდგრად და შეუფერხებელ განხორციელებას. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაცია, ბიბლიოთეკა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური და უსდ-ს სხვა პროფილური სამსახურები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • პროგრამაზე თანდართული პირადი საქმეები • აკრედიტაციის ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუები
რეკომენდაციები: • სადოქტორო პროგრამაში ჩართული კვალიფიციური კადრების არსებობისა და აქტიური ინტეგრირების მიუხედავად, რეკომენდებულია, რომ სადოქტორო პროგრამაში მოხდეს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი დარგობრივი - საჯარო მმართველობის დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა განსაკუთრებით უსდ-ს საერთაშორისო პარტნიორთა ქსელის ფარგლებში არსებული პროფესორების დოქტორანტების თანახელმძღვანელებად მოწვევის მიმართულებით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება ინდივიდუალური დატვირთვის სქემის შესრულების ანალიზი, რომელიც ძირითადად ეფუძნება სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის და ბტუ–ს განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობის შეფასებას. აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის შესრულების შესწავლაში ჩართულები არიან, როგორც ფაკულტეტის დეკანი, ასევე ადამიანური რესურსების მართვის სამსახურისა და კვლევების ცენტრის ხელმძღვანელები. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც შესრულებული სამუშაოს ასევე დარღვევების ფაქტების იდენტიფიცირებას და მათი გამომწვევი მიზეზების დადგენას დასკვნებისა და რეკომენდაცნიების შესამუშავებლად.

უსდ უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიულ განვითარებას სამეცნიერო, კვლევით, პრაქტიკულ აქტივობებში და ტრენინგებში მათი ჩართულობით, როგორც სრული ასევე თანადაფინანსებით. პერსონალისთვის უზრუნველყოფილია უსდ-სა და მის პარტნიორ დაწესებულებებში გამოცხადებულ კონკურსებში მონაწილეობის შესაძლებლობა, საიდანაც სხვებს შორის მოიცავს ასევე ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობებში მონაწილეობას.

ბოლო 5 წლის მონაცემებით, თავად თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა -75, ხოლო საზღვარგარეთ გამოქვეყნებული პუბლიკაციების რაოდენობა - 60 ერთეულია. ადგილობრივ კონფერენციებში გაკეთებული მოხსენებების რაოდენობაა - 43, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებში - 54. თუმცა, სასურველია, რომ უნივერსიტეტი სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემების კალკულამციისას მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალებითა და კონფერენციებით ხელმძღვანელობდეს და არ ითვლიდეს არასამეცნიერო ტიპის გამოქვეყნებებსა და მოხსენებებს (მაგ. სამეცნიერო პროდიუქტიულობის მაჩვენებლად ვერ ჩაითვლება გამოქვეყნებები „ჯეოქეისში“ ან მხოლოდ მონაწილეობა კონფერენციებში).

2019 წელს უსდ-ს სამმა თანამშრომელმა ევროკავშირის დაფინანსებით მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში. უსდ-ს საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მოიცავს რომის (იტალია) საპიენცას უნივერსიტეტს, ტუშას (იტალია) უნივერსიტეტს, ლა კორუნიას (ესპანეთი) უნივერსიტეტს, ლოს ენლაკეს (სარაგოსა, ესპანეთი) უნივერსიტეტს, კილის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, კობლენცის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს, ლოძის (პოლონეთის) ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს, რჟეშოვის (პოლონეთი) უნივერსიტეტს, ბრაგანჩას (პორტუგალია) პოლიტექნიკურ უნივერსიტეტს, ვილნიუსის (ლიეტუვა) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტს, კარლოს (ირლანდია) ტექნოლოგიურ ინსტიტუტს და ა.შ.

უსდ-ში 2021 წლიდან ამოქმედდა სამეცნიერო პრემია ბიზნესისა და ტექნოლოგიების სფეროში, აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან გამარჯვებული პირის გამოსავლენად (https://btu.edu.ge/kvleva/kvlevithi-tsentris-tsliuri/).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამაზე დართული პირადი საქმეები
- აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ უნივერსიტეტი სამეცნიერო პროდუქტიულობის მონაცემების კალკულამციისას მხოლოდ სამეცნიერო ჟურნალებითა და კონფერენციებით ხელმძღვანელობდეს და არ ითვლიდეს არასამეცნიერო ტიპის გამოქვეყნებებსა და მოხსენებებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში აკრედიტაციის ვიზიტის მსვლელობისას განხორციელებულმა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებამ ცხადყო, რომ უსდ-ს აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც ხელმისაწვდომია დოქტორანტებისთვის.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მოიცავს უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს და 100 ახალი კომპიუტერით აღჭურვილ (HPProOne440G423.8FHD/i5 8500T/8GBMemory/512GBM.22280 PCIeN) კომპიუტერულ აუდიტორიებს.

უსდ-ს ასევე აქვს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, სწავლება-სწავლის პროცესის წარმართვისთვის საჭირო კომპიუტერულ პროგრამებს და სხვა.

პროგრამის განსახორციელებლად საჭირო სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა დაცულია და ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო სივრცეში.

უსდ-ს მიერ აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტებისათვის უზრუნველყოფს წვდომას შემდეგ რესურსებზე: (ScienceDirect; EBSCO; Scopus; Harvard Business Review; MIT – Technology-Review; MIT Sloan Manage-ment Review; The Economist; Scival Funding (Funding Institutional); Cambridge University Journals; Royal Society Journals Collection; SAGE Premier; Edward Elgar Publishing; IMechE Journals; e-Duke Journals Scholarly Collection; Openedition Journals. ადმინისტრაციამ ასევე უზრუნველყო წვდომა ACCA-ს სასწავლო რესურსებზე და ისეთ ელექტრონულ პლათფორმებზე როგორებიცაა - pluralsight (https://www.pluralsight.com/) და linuxacademy (https://linuxacademy.com/).

უსდ-ში მოქმედებს ანტიპლაგიატის პროგრამა Turnitin-ი.

მუდმივად მიმდინარეობს საუნივერსიტეტო წიგნადი ფონდის განახლება როგორც ქართულენოვანი, ასევე უცხოენოვანი ლიტერატურით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- მატერიალურ ტექნიკური ბაზის დათვალიერება;
- სილაბუსებში მითითებული ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდში არსებობა;
- საერთაშორისო ელექტორნულ ბაზებზე წვდომის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისა და პროგრამაზე თანდართული დოკუმენტაციის შეფასების შედეგები ცხადყობს, რომ უსდ-ს მიერ პროგრამისთვის გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრები უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

ბიუჯეტით გათვალისწინებულია როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება, ასევე კვლევითი საქმიანობის ხარჯები. უსდ ასევე უზრუნველყოფს დოქტორანტების კვლევების დაფინანსებას და საბიბლიოთეკო რესურსების უწყვეტი განახლების პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში არსებული ხარისხის მართვის სისტემა, გარდა უნივერსიტეტში მოქმედი მნიშვნელოვანი დოკუმენტებისა, ასევე დამატებით ხელმძღვანელობს ISO 9001:2015 სტანდარტებითა (პროცესებისა და პროვედურების მიმართულებით) და ISO 21001:2018 - საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვის სისტემების სტანდარტებით (Management Systems for Educational Organizations).

უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში შემოწმება/შეფასება მოიცავს რამდენიმე ძირითად მიმართულებას, როგორიცაა საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის ორგანიზება, განხორციელება და მართვა, განათლების და კვლევის შინაარსი, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის მონაწილეები, საგანმანათლებლო და კვლევითი პროცესის რესურსებით (ადამიანური, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური, სხვ.) უზრუნველყოფა.

ინსტიტუციის მხრიდან წარმოდგენილი იყო დეტალურად გაწერილი საქმიანობის ყოველწლიური შემოწმების სქემა, რაც გვაძლევდა ინფორმაციას, თუ რა ფასდება, როგორი პროცედურების გამოყენებით და რა პერიოდულობით.

სქემითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ უნივერსიტეტში გონივრული პერიოდულობით ხდება შემდეგი კომპონენტების შეფასება:

- ძირითადი (სასწავლო) და დამხმარე პროცესების ორგანიზება
- საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა
- საგანმანათლებლო პროგრამები
- პროგრამის სპეციფიკის შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა
- პროგრამის განმახორციელებლების საქმიანობა
- სტუდენტთა სასწავლო და კვლევითი საქმიანობა
- საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის შიდა მარეგულირებელი ბაზა

წარმოდგენილი გამოკითხვები და მათ შედეგად განხორციელებული ანალიზები ადასტურებს იმასაც, რომ გარდა ზემოთჩამოთვლილი პროცესებისა, ინსტიტუცია აქტიურად იყენებს გამოკითხვების, გასაუბრებებისა და მოსაზრებების შესწავლის შედეგებს.

გარდა ხარისხის შიდა შეფასებისა და მონიტორინგისა, ხაზგასასმელია ინსტიტუციაში არსებული ე.წ "ნდობის ყუთი" , სადაც სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი აზრი ღიად დააფიქსირონ, რასაც მოყვება შემდგომი რეაგირება (საჭიროების შემთხვევაში).

დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვას ინსტიტუცია ატარებს ელექტრონულად, რომლის მეშვეობითაც პროგრამის პერსონალი და სტუდენტები აფასებენ პროგრამას, პროგრამის განხორციელებას, პროგრამის პერსონალს. გარდა ამისა, პოტენციური დამსაქმებლები და დარგის სპეციალისტები აფასებენ პროგრამის აქტუალობას, შინაარსს, მიზნებს და დაგეგმილ შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების და კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობას და სხვ. დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორების დადგენის მიზნით ხდება

კურსდამთავრებულთა მოსაზრებების შესწავლა. წარმოდგენილი გამოკითხვის ფორმები იძლევა საჭირო ინფორმაციის იდენტიფიცირების საშუალებას.

მონიტორინგის შედეგების, გამოთქმული მოსაზრებების და რეკომენდაციების ანალიზის საფუძველზე დგინდება გასაუმჯობესებელი ასპექტები, შემუშავდება და ამოქმედდება შესაბამისი მექანიზმები. შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ატარებს საჭირო ღონისძიებებს გასაუმჯობესებელი ასპექტების გამოსასწორებლად.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თუკი რომელიმე სტრუქტურულ ერთეულს დასჭირდება, მის ხელმძღვანელს შეუძლია შესაბამისი სამსახურის მუშაობის შიდა შეფასების მიზნით შეიმუშაოს და გამოიყენოს გამოკითხვის ანკეტები, თუმცა ეს უნდა იყოს შეთანხმებელი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

წარმოდგენილი დოკუმენტებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ხარისხის უზრუნველყოფის თეორიული საფუძვლები სრულად რელევანტურია და ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით შესრულებული პროცედურებიც არის გამჭვირვალე და თანმიმდევრული.

უნივერსიტეტში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეყრდნობა პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე".

პროგრამის გასაუმჯობესებლად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დადგენილი წესით გეგმავს ჩასატარებელ სამუშაოს, განსაზღვრავს შემოწმების თანამიმდევრობას, შეიმუშავებს შემოწმების კრიტერიუმებს. განისაზღვრება შესაბამისი ვადები/პერიოდი აღნიშნულის განსახორციელებლად.

ინტერვიურების დროს გამოიკვეთა პროგრამაში ჩართული პერსონალის თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში.

პროგრამების სრულყოფის მიზნით ხდება დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებებს და მოლოდინებს შესწავლა. წარმოდგენილი თანდართული დოკუმენტები ცხადყოფს ამ პროცესის მიმდინარეობის ნამდვილობას. ინტერვიუების დროსაც გამოიკვეთა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ამ კუთხით.

ინსტიტუცია აქტიურად იყენებს როგორც პირდაპირი, ასევე არაპრიდაპირი შეფასების მეთოდებს.

გარდა ამისა, ხდება არა მხოლოდ პროგრამის შეფასება, არამედ შეისწავლის ბტუ-ს ინფრასტრუქტურას და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, სასწავლო პროცესის და კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების არსებობას და საკმარისობას.

ბტუ-ს დადგენილი აქვს ობიექტების შეფასებისთვის საჭირო კრიტერიუმები, პროცედურები, პერიოდულობა და ისიც, თუ როგორ ხდება შემოწმების შედეგების განხილვა. საჭიროების გამოკვეთისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფლებამოსულია შექმნას მონიტორინგის ჯგუფიც კი.

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისას, გამოიკვეთა, რომ მოხდა არა მხოლოდ ინსტიტუციის მდგომარეობის შესწავლა და საგანმანათლებლო პროგრამების და მათი განხორციელების ხარისხის შესწავლა, არამედ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის, ინფრასტრუქტურის, ინვენტარისა და აღჭურვილობის, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისა და ბაზების, პროგრამული უზრუნველყოფის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ადამიანური რესურსის (ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი) შესწავლა.

ციკლის ამ ეტაპზე ხდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემოწმების/შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი, შესაბამისი დასკვნების გამოტანა და შემდგომი რეაგირება.

წარმოდგენილ დოკუმენტებშიც გამოიკვეთა და ინტერვიუების პროცესშიც დადასტურდა, რომ გამოკითხვების ანალიზის შემდეგ, შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით, ხდება გასატარებელი ღონისძიებების ჩამოყალიბება და მათი შესრულების ვადების განსაზღვრა. აუცილებლად ხდება შემოწმების სუბიექტის ინფორმირება და მათგანი უკუკავშირის მიღება. შემდგომ უკვე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს დადგენილ ვადებში დაგეგმილი ღონისძიებების შესრულების შემოწმებას და მიღწეულ შედეგების შეფასებას.

უნდა ითქვას, რომ იკვრება მთელი ციკლი დაგეგმვის პროცესიდან დაწყებული, მის საბოლოო ეტაპამდე (განვითარებამდე).

ყველა შესწავლილი ასპექტი და პროცესი არის დოკუმენტირებული ამ მიზნით შემუშავებული ფორმების გამოყენებით, რაც ადასტურებს მტკიცებულებებზე დამყარებული მიდგომების არსებობას.

უნივერსიტეტი ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ჩამოყალიბებისას და მათი განხორცილებისას ეყრდნობა როგორც „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG)-2015", აკრედიტაციის სტანდარტებსა და ბტუ-ს „საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დანართებს. („თუნინგის ძირითადი კითხვების ჩამონათვალი პროგრამის შემუშავების, განხორციელების, შენარჩუნებისა და შეფასებისათვის ბოლონიის რეფორმის ფარგლებში"; „თუნინგის კურიკულუნის შემოწმების ფორმა"). სწორედ ამ დოკუმენტებზე დაყრდნობითაა შემუშავებული შეფასების ფორმა, რომელიც გამოიყენება პროგრამის კომპლექსური შეფასების მიზნით.

ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართული იყო როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნვეყოფის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავდა ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დისტანციური სწავლებისას უსდ-მ შეიმუშავა ელექტრონული სწავლების სტრატეგია და ელექტრონულ ფორმატში სწავლების სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც აქტიურად იყენებს ელ. სწავლების პერიოდში ხარისხის უზრუნველყოფისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხარისხის უზრუნველყიფის სახელმძღვანელო
- ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები. ხარისხის მართვის პოლიტიკა
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია
- სწავლის შედეგები და შეფასების სისტემა
- ელექტრონული სწავლება, სახელმძღვანელო პრინციპები
- განხორციელებული შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში და რეკომენდაციები
- დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2	გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი იყენებს გარე შეფასების ინსტრუმენტებს პროგრამული აკრედიტაციისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების პროცესში. ის თანამშრომლობს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

დოკუმენტების გაცნობისა და ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ გარე შემფასებელთა (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა) მხრიდან მანამდე გაცემული რეკომენდაციები აქტიურად იქნა გათვალისწინებული პროგრამის ხელახალ აკრედიტაციაზე მუშაობისა და დახვეწის პროცესში.

განხორციელდა გარე (უცხოელი პროფესორების მიერ) კოლეგიალური შეფასება. წარმოდგენილი იყო როგორც უცხოელი კოლეგების მხრიდან პროგრამის გასაუმჯობესებლად გამოსადეგი დეტალური შეფასებები და გაცემული რეკომენდაციები, ასევე მხარდაჭერის წერილები და სამომავლო აქტიური ურთერთთანამშრომლობის მზაობა.

ინსტიტუუციას წარმოდგენილი ჰქონდა შიდა შეფასების დეტალური დოკუმენტი. აღსანიშნავია, რომ გათვალისწინებული იყო მანამდე გაცემული რეკომენდაცია და დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების მიზნით, უნივერსიტეტს დამტკიცებული აქვს წინასწარ განსაზღვრული ფორმა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასებისთვის.

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემობას, რომ თითქმის ყველა გარე შემფასებელი აღნიშნავს, რომ პროგრამა არის აქტუალური, საინტერესო და პასუხობს ბაზრის მოთხოვნებსა და თანამედროვე გამოწვევებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამა
- შიდა და გარე შეფასების დოკუმენტი
- ხარისხის უზრუნველყიფის სახელმძღვანელო
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბტუ-ში პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, მომიჯნავე პროგრამების კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. პროგრამის შეფასებისა და განვითარების საკითხებს არეგულირებს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. პროგრამის შეფასება, როგორც უკვე 5.1 ქვესტანდარტის შეფასებისას იქნა განხილული, ხდება სხვადასხვა ინდიკატორის გამოყენებით. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც აკადემიური მოსწრებას, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, პროგრამის მოთხოვნადობას და ა.შ., ასევე მოიცავს დაინტერესებული მხარეების მოლოდინების და დამოკიდებულებების შესწავლას, შეფასების პროცესში სტატისტიკური ინფორმაციის სისტემატური შეგროვება-ანალიზის სხვა მექანიზმების (მაგ., უკუკავშირი, ინფორმირება და ა.შ.) გამოყენებას, რაც მიმართულია კურიკულუმის დიზაინისა და/ან განხორციელებაში არსებული ხარვეზების გასწორებაზე. გარდა ამისა პროგრამები პერიოდულად ფასდება დამოუკიდებელი დარგის სპეციალისტების მიერ.

ხაზგასასმელია SWOT-ანალიზი (ძლიერი მხარეები; სუსტი მხარეები; შესაძლებლობები; საფრთხეები, რისკები), რომელიც ასახავს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებს, საფრთხეებსა და რისკებს გარე ფაქტორების ზემოქმედების გათვალისწინებით.

რაც ყველაზე მნიშვნელობანია შემოწმების ყველა ეტაპის შედეგები ცნობილია და გათვალისწინებულია ბტუ-ს საქმიანობის ყველა მონაწილის (სუბიექტების) საქმიანობაში/ქმედებაში.

უნივერსიტეტის მხრიდან ყურადღება ეთმობა აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურებს. აღნიშნული გაწერილია პერსონალის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმანობის შეფასების დოკუმენტში, სადაც ასევე განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარებისა და აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები.

პერსონალი ყოველწლიურად წარმოადგენს სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშს, რომლის მიხედვითაც მას განესაზღვრება სარეიტინგო ქულა. აკადემიური პერსონალი ასევე წარადგენს თვითშეფასების ანგარიშსაც. სასურველია, რომ საქმიანობით დაგროვებული საბოლოო შედეგი ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობას, რაც დამატებით მოტივაციას მისცემს აკადემიურ პერსონალს თავისი საქმიანობის განხორციელების პროცესში, როგორც სასწავლო-პედაგოგიური, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კუთხით.

უნივერსიტეტში მოქმედებს ერთგვარი მოდერატორის ინსტიტუტი, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის მონიტორინგს ანუ სალექციო/პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრებას სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების, მიზნების, სწავლა/სწავლების მეთოდების, შეფასების, წაკითხული თემატიკის ადეკვატურობის დადგენის მიზნით.

სადოქტორო პროგრამაზე მუშაობისას გაკეთებული შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტი, მოიცავდა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური უნივერსიტეტის პროგრამებთან დადარებას.

რადგანაც უნივერსიტეტი გარკვეული პერიოდულობით ახდენს უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარებას, სასურველია ეს წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი დოკუმენტის ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტის სახით და არა როგორც სხვა დოკუმენტის შემადგენელი ნაწილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- გამოკითხვის ფორმები და ჩატარებული გამოკითხვები
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება
- ხარისხის უზრუნველყიფის სახელმძღვანელო, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და განვითარების მეთოდოლოგია
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპები
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- სასურველია, აკადემიური პერსონალის მიერ სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიშის მიხედვით დაგროვებული საბოლოო შედეგი ებმოდეს გარკვეული ტიპის წამახალისებელ აქტივობას.
- სასურველია პერიოდულობით უცხოური და ადგილობრივი უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან დადარება წარმოდგენილი იყოს დამოუკიდებელი დოკუმენტის ე.წ. „ბენჩმარკინგის“ დოკუმენტის სახით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>
☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

"ციფრული მმართველობა და ხელოვნური ინტელექტი საჯარო სექტორში"
სადოქტორო

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 56 გვ

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა მაჭარაშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის
სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ფარსადანიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო პატარაია

სახელი, გვარი, ხელმოწერა ნანა ფირცხელანი